34 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 93.

35 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 12, с. 714—715.

ეკვივალენტს. ეკვივალენტობა ღირებულების ფორმათა ცვლაში აისახება. ეს ურთიერთობა დამყარებულია მხარეთა შეთანხმებაზე, ხელშეკრულებაზე.

საკრედიტო ფონდების მოძრაობაში ზოგიერთი რამ ამის ანალოგიურია. აქაც გამსესხებელი ასხვისებს მხოლოდ სახმარ ღირებულებას, რაც შეეხება ღირებულებას, ის ერთის ხელიდან მეორეში გადადის დროებითი სარგებლობისათვის, გამსესხებელი მასზე საკუთრებას ინარჩუნებს და საბოლოოდ იგი მას უკანვე იბრუნებს. განსხვავება იმაშია, რომ აქ მხოლოდ ერთი მხარე გაცემს ღირებულებას. მსესხებელსა და გამსესხებელს შორის არ ხდება ღირებულების ფორმათა ცვლა. საკრედიტო ურთიერთობის დროს „განსაზღვრული ღირებულებრივი ჯამი ფულით გაიცემა უეკვივალენტოდ... მარტივი საქონელ-გაცვლის დროს ფული მუდამ მყიდველის მხარეზეა; გასესხებისას კი ფული გამყიდველის მხარეზეა“³⁶.

არსებითად სხვაგვარად მიმდინარეობს ბიუჯეტური ფონდების მოძრაობა. აქ მოძრაობა ხდება მხარეთა შორის ინდივიდუალური შეთანხმებისა და ხელშეკრულების გარეშე. საბიუჯეტო გადასახდლები წესდება კანონით, გადამხდევინებლის მიერ გადამხდელთან შეთანხმებლად როგორც გადასახადის თანხის რაოდენობის, ისე გადახდის ვადების საკითხში. საბიუჯეტო გადასახდელს სავალდებულო ხასიათი აქვს.

ბიუჯეტური ფონდების მოძრაობა არ არის გაცვლა, არ არის ღირებულების ფორმათა ცვლა, სადაც ერთი მეორეს საქონელს აძლევს, მეორე — ეკვივალენტს ფულის ფორმით. ბიუჯეტური ფონდების მოძრაობისას ერთი მხარე გაიღებს ფულს, მეორე მხარე მიიღებს ამ ფულს. გადამხდელი ასხვისებს როგორც სახმარ ღირებულებას, ისე ღირებულებას. ეს იმას ნიშნავს, რომ გადამხდევინებელი ეკვივალენტს არ იხდის, გადამხდელი მის სასარგებლოდ ღირებულებას თმობს.

ასევე დაფინანსებით გამოხატული ბიუჯეტური ფონდების მოძრაობისას, ბიუჯეტი გაიღებს ღირებულებას ფულის სახით და ამავე ფულად თანხას მიიღებს დაფინანსების ობიექტის მფლობელი. ამგვარად აქ ბიუჯეტი ასხვისებს ღირებულებას, რაც ნიშნავს მის უეკვივალენტო მოძრაობას. ბიუჯეტური ფონდების მოძრაობა, ერთი მხრივ, სოციალისტური საწარმოების, როგორც გადამხდელებისა და იმავე დროს როგორც დაფინანსების ობიექტებს შორის, მეორე მხრივ სახელმწიფოს როგორც გადამხდევინებელსა და იმავე დროს საწარმოს დამფინანსებელ სუბიექტს შორის, არ ემყარება გაცვლისათვის დამახასიათებელ ეკვივალენტობას. სახელმწიფოს მიერ ცალკეულ საწარმოთა დაფინანსებისას სახსრები ნაწილდება სახალხო მეურნეობის გეგმის, და არა მათ მიერ ბიუჯეტში გადახდილი თანხის შესაბამისად. ბიუჯეტური სახსრები შეადგენენ ცენტრალიზებულ ფონდს, საიდანაც საწარმოებმა გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონის შესაბამისად, შესაძლებელია მიიღონ იმაზე მეტი ან ნაკლები, რაც მათგან იქნა ამოღებული, ან მათ უბრუნდება ეს სახსრები არაპირდაპირი ფორმით, არაწარმოებრივი სფეროს დაფინანსების გზით³⁷.

საქონლის ყიდვა-გაყიდვისას საქონლის გამყიდველისა და მყიდველის ხელში ღირებულების ფორმა იცვლება, ხოლო ღირებულების სიდიდე არ იცვ-

³⁶ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, 1959, გვ. 446.

³⁷ უფრო დაწვრილებით იხილეთ В Чантладзе, Вопросы теории финансов. Тб., 1979, с. 206—211.

ლებს. ბიუჯეტური ფონდების მოძრაობისას ღირებულების ფორმა არ იცვლება, ღირებულების სიდიდე იცვლება, ვინაიდან აქ ღირებულების გასხვავების გამო მეორე მხარე მას უეკვივალენტოდ ღებულობს. რა ზომითაც მცირდება გადამხდელის ხელში ღირებულება, იმ ზომით იზრდება გადამხდელი ფონდის ხელში ღირებულება. ამგვარად, ბიუჯეტური ფონდების მოძრაობა არის უშუალო განაწილება წმინდა სახით.

საკუთრივ ბიუჯეტური ფონდების მოძრაობა არის ფულადი ფონდების მოძრაობა საქონლის მოძრაობასთან დაუკავშირებლად, წრებრუნვის დაწყებამდე და წრებრუნვის დამთავრების შემდეგ. წრებრუნვის პროცესში ბიუჯეტური ფონდები სხვა ფონდებთან ერთად ჩართულია წარმოებრივ ფონდებში და ფუნქციონირებენ როგორც წარმოებრივი ფონდები საერთო ეკონომიკური კანონების საფუძველზე. ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ ბიუჯეტის ურთიერთობა გადამხდლებთან და დაფინანსების ობიექტებთან ეკვივალენტური არ არის. ბიუჯეტი სახალხო მეურნეობის მწარმოებლურ სფეროდან როგორც გადამხდელისაგან იმაზე მეტ ფულად თანხებს ღებულობს, ვიდრე მას უბრუნებს როგორც დაფინანსების ობიექტს. ასე რომ არ იყოს, ბიუჯეტი არამწარმოებლურ სფეროს ვერ დააფინანსებდა. ამასთანავე ბიუჯეტის ურთიერთობა როგორც გადამხდელი ფონდისა და როგორც დამფინანსებლისა სხვადასხვანაირია საკუთრების სხვადასხვა ფორმების მიმართ, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისა და მოსახლეობის მიმართ. რომ ბიუჯეტი როგორც გადამხდელი და როგორც დამფინანსებელი ყველა შემთხვევაში თითოეულს იმდენივეს აძლევდეს, რამდენსაც ახდევინებს, მაშინ ასეთი ცენტრალიზებული ფონდის ფორმირებას აზრი არ ექნებოდა. აქ ბიუჯეტი სახალხო მეურნეობის სოციალისტურად განვითარებისათვის ძირითადად ემყარება გეგმაზომიერ პროპორციული განვითარების კანონის მოქმედებას მეურნეობრივი ანგარიშიანობის გამოყენებით და არა ღირებულების კანონის მოქმედებას კომერციული ანგარიშიანობის გამოყენების საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი პროპორციული განვითარების კანონის მოქმედება განმსაზღვრელია და საქონლური ფულადი ურთიერთობა გამოიყენება გეგმური ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად. ამიტომ მეურნეობრივ ანგარიშიანობაში გამოყენებული ეკვივალენტური პრინციპის არსებობა არ გამორიცხავს შესაძლებლობას სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ინტერესებისათვის გამოყენებულ იქნეს ფასების შეგნებული გეგმაზომიერი გადახრა ღირებულებიდან და ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური სიმდიდრის განმანაწილებლობის საფუძველზე ცენტრალიზებული ფონდის ფორმირება.

აქ არ უნდა გავაიგივეოთ ბიუჯეტის კრებსური ფინანსური გეგმა და სახალხო მეურნეობის ბალანსი. მთი დაბალანსება სხვადასხვაგვარად ხდება. არ უნდა გავაიგივეოთ საქონლის მოძრაობასთან დაკავშირებული ფულადი ფონდების მოძრაობა და საქონლის მოძრაობასთან არადაკავშირებული ფულადი ფონდების მოძრაობა, როგორც თავისთავადური მოძრაობა; არ უნდა გავაიგივეოთ გაცვლა და უშუალო განაწილება წმინდა ფორმით, ფულადი ფონდების მოძრაობა ნამდვილ წრებრუნვაში და ფულადი ფონდების მოძრაობა წრებრუნვის გარეშე.

ამგვარად, ფინანსები შეადგენს არა ზედნაშენს, არამედ ბაზისის ელემენტს. ფინანსური კატეგორია არა სინთეზური, არამედ ანალიზურ-სინთეზური, აბს-

ტრაქტულ-კონკრეტული, ისტორიულ-ლოგიკურია ყველა ფულადი მოძრაობა ეკვივალენტობის პრინციპზე არ არის აგებული.

В. Г. ЧАНТЛАДЗЕ

К ВОПРОСУ О МЕТОДОЛОГИИ ИССЛЕДОВАНИЯ ФИНАНСОВЫХ ОТНОШЕНИЙ

Резюме

До 1950-х годов большинство финансистов считало, что финансы — надстроечная категория, т. е. не экономическая. В настоящее время бесспорно утверждение, что это — категория экономическая.

Несмотря на это, некоторые финансисты продолжают считать, что в области финансов применяются отличные от политической экономии методы. В специальной литературе 1980-х годов были выдвинуты два таких метода: чистой абстракции и синтетический.

Проф. Д. А. Аллахвердян свое суждение начинает с признания диалектического единства абстрактного и конкретного и заканчивает отрицанием этого единства. Он отрицает необходимость выяснения критериев познания объективной реальности, что определяет функционирование финансов в практике социалистического хозяйствования. Экономическая категория вне конкретности, вне практики — всего лишь бессодержательная абстракция.

В финансовой литературе 1980-х годов содержится и другая концепция вопросов методологии, по которой финансовые категории относятся к синтетическим. Это мнение разделяет проф. В. К. Сенчагов, однако согласиться с этим нельзя. Согласно марксистско-ленинскому методу, экономические категории, в частности, финансовые, не синтетические категории, а аналитико-синтетические. Кант отдавал предпочтение синтетическому суждению, так как, по его мнению, нечто новое кроется в содержании подлежащего.

Марксистский метод исследования и познания совершенно иной. Согласно материалистической диалектике, не существует синтеза без анализа конкретного, иначе синтез лишен связи с действительностью, с практикой, и исследователь остается в сфере абстракции, оторванной от действительности. Анализ подготавливает основу синтезу, а синтез — более глубокому анализу.

რეგულაციური საკანონმდებლო

განათლების როლი სამუშაო ძალის კვალიფიკაციაში

თანამედროვე პირობებში არასაწარმოო სფეროს როლი და მნიშვნელობა მატერიალური წარმოების განვითარებაში განუზომლად იზრდება. ამასთან, ზატერიალური წარმოების განვითარებასა და საზოგადოების სოციალურ პროგრესში არასაწარმოო სფეროს როლი მარტო წარმოების მატერიალურ-ნივთობრივი ფაქტორების სრულყოფაზე გავლენით როდი გამოიხატება. ამ საქმეში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის საერთო-საგანმანათლებლო დონის ფორმირებას, ადამიანთა შრომითი ჩვევების ჩამოყალიბებასა და სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების კვალიფიციური სამუშაო ძალით უზრუნველყოფას.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში თანამედროვე წარმოების მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალით უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა სახალხო განათლებას ენიჭება. საზოგადოებრივი კვალიფიკაციის სისტემაში მისი ადგილისა და როლის შესაფასებლად საჭიროა გავიხსენოთ განათლების ეკონომიკური ასპექტების მარქსისტული განსაზღვრა. კერძოდ, კ. მარქსი განათლების როლსა და მნიშვნელობას განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს შრომის მწარმოებლური ძალის განსაზღვრისას. იგი წერდა: „ადამიანის საერთო ბუნების ისე გარდასაქმნელად, რომ მან შეიძინოს დახელოვნება და გააფუძვლოს შრომის განსაზღვრულ დარგში, გადაიქცეს განვითარებულ და სპეციფიკურ ძალად, საჭიროა გარკვეული სწავლა ანუ აღზრდა, რომელიც თავის მხრივ, საქონლის ეკვივალენტების მეტი ან ნაკლები რაოდენობა ღირს. სწავლაზე გაწეული ეს ხარჯები სხვადასხვა სამუშაო ძალის მეტი თუ ნაკლები კვალიფიკაციის მიხედვით“¹.

მარქსის დროიდან დღემდე განათლების როლი და მნიშვნელობა სამუშაო ძალის მომზადებაში განუზომლად გაიზარდა. თანამედროვე ადამიანი, თამამად შეიძლება ითქვას, პროდუქტია აღზრდისა და განათლებისა, რაც, გარდა ოჯახისა, ხორციელდება არასაწარმოო სფეროს სპეციალურ დაწესებულება-ორგანიზაციებში — სკოლებში, სასწავლებლებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სხვ.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში მწარმოებლურ ძალათა არნახული ტემპით განვითარება, საზოგადოებრივი წარმოების სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და კომბინირების პროცესის გაღრმავება ახალ დიდ ამოცანებს აყენებს სამუშაო ძალის პროფესიული ცოდნის დიაპაზონის გაფართოების, მისი კვალიფიციური დონის უცილობელი ზრდის მიმართულებით.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში მუშათა მაღალი პროფესიული დონე და სპეციალური ცოდნის მრავალფეროვნება საშუალებას ქმნის

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 220.

მათი შრომის ინტელექტუალურად გადაქცევისათვის, შრომას აძლევს შემოქმედებით ხასიათს. თავის მხრივ ინტელექტუალური, შემოქმედებითი შრომა, შერწყმული სოციალისტური მეურნეობრიობის უპირატესობებთან მტკიცე საფუძველს ქმნის საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის შემდგომი ამაღლებისათვის.

თანამედროვე წარმოება გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს არა მხოლოდ წარმოების ნივთობრივ ელემენტს — მანქანა-მოწყობილობას, ტექნიკას, არამედ, პირველყოფლისა, თვით სამუშაო ძალას, წარმოების მუშაკებს, რომლებსაც მოძრაობაში მოყავთ ეს მანქანები, წარმოების პროცესში რომ მართავენ ახალ ტექნიკას. თანამედროვე პირობებში წარმოების მუშაკთა სპეციალური ცოდნით აღჭურვა, მათი მაღალი პროფესიული მომზადება და საერთო კულტურის დონის ზრდა აუცილებელ კომპონენტებად იქცა საზოგადოებრივი წარმოების შეუფერხებელი განვითარებისათვის.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: სახალხო განათლების მთავარი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი უზრუნველყოფს სამუშაო ძალის კვალიწარმოებას შესაბამის კვალიფიციურ დონეზე. ამასთან, სახალხო განათლების ასეთი როლი და მნიშვნელობა სულ უფრო ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რამდენადაც, როგორც საზოგადოებრივი, ისე ეკონომიკური პროგრესი სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული სახალხო განათლების მასშტაბებსა და ეფექტიანობაზე.

სამუშაო ძალის განათლების მასშტაბების გაფართოება და კვალიფიციციის დონის სისტემატური ამაღლება მუდმივადმოქმედ ფაქტორს წარმოადგენს. იგი არსებითად განსაზღვრავს საზოგადოებრივი წარმოების ზრდის ტემპებს. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ წარმოებაში ტექნიკის სრულყოფა „მუდამ გადატრიალებას ახდენს წარმოების ტექნიკურ საფუძველთან ერთად მუშების ფუნქციებში და შრომის პროცესის საზოგადოებრივ კომბინირებაში“².

ჩვენს ქვეყანაში მაღალკვალიფიციური მუშა-კადრების მომზადება ხორციელდება პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებსა და სკოლებში. პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში მუშათა მომზადების სისტემა საბჭოთა კავშირში შეიქმნა ჯერ-კიდევ დიდი სამამულო ომის წინა პერიოდში, რომელმაც უაღრესად დიდი როლი ითამაშა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების კვალიფიციური მუშახელით უზრუნველყოფაში.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელი. ჩვენს ქვეყანაში ასეთი ტიპის სასწავლებელთა რაოდენობა 1970—1983 წწ. 0,6 ათასიდან 4,7 ათასამდე გაიზარდა. თუ 1970—1971 სასწავლო წელს ქვეყნის მასშტაბით საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლობდა 180 ათასი ახალგაზრდა, 1982—1983 სასწავლო წელს მათმა რიცხვმა 2312 ათასს მიაღწია³.

² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 615.

³ Народное хозяйство СССР в 1982 г. Статистический ежегодник, М., 1983, с. 459.



პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო სისტემა განუხრელად ვითარდება როგორც სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციური მუშების მომზადების ძირითადი ფორმა. მეათე ხუთწლედში ქვეყნის მუშაკთა კლასის ახალგაზრდა წევრების ორმა მესამედმა პროფესია პროფტექნიკურ სასწავლებლებში შეიძინა. მიმდინარე ხუთწლედში მათი ხვედრითი წილი თითქმის სამ მეოთხედამდე გაიზარდა.

განვიღო ხუთწლედში ძირითადად გადაწყდა პარტიის მიერ დასახული ამოცანა — პროფტექნიკური განათლების სისტემის საშუალო განათლების მქონე კვალიფიციურ მუშათა მომზადებაზე გადაყვანა. ამჟამად, საშუალო და ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლობს ქვეყნის პროფტექნიკური განათლების დღის სასწავლებლების მოსწავლეთა 90 პროცენტზე მეტი.

მუშა-ახალგაზრდობის პროფესიული დაოსტატების მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ჩვენს რესპუბლიკაში. საქართველოს პროფტექნიკური განათლების სისტემამ უკანასკნელი 40 წლის მანძილზე 500 ათასზე მეტი კვალიფიციური მუშა მოამზადა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის. პროფტექნიკური განათლების სისტემა განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა ბოლო ათწლეულში. ამჟამად, პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულები რესპუბლიკის მუშათა კლასის მთელი წევრების მესამედს შეადგენს⁴.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარებაში 1981—1985 წწ. და უახლოეს პერიოდში წინა პლანზე იწევს რესპუბლიკის საერთო ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალის დაჩქარებული ზრდის და, უწინარეს ყოვლისა, საშუალო საკავშირო მაჩვენებლებთან მისი ეკონომიკური განვითარების დონის დაახლოების ამოცანა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რესპუბლიკის სამეურნეო კომპლექსში, კერძოდ, მრეწველობაში რაციონალური სტრუქტურული ძვრების განხორციელება. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება მანქანათმშენებლობისა და, განსაკუთრებით მისი არალითონ-ტევადი დარგების — ენერგეტიკის, ქიმიური მრეწველობისა და საშენ მასალათა მრეწველობის უპირატესი განვითარების უზრუნველყოფა, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მშენებლობის, აგრეთვე, მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროს სხვა დარგების შემდგომი დაჩქარებული განვითარება.

ეკონომიკის ზრდის ტემპებსა და სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში მომხდარ ძვრებს სათანადოდ უნდა პასუხობდეს პროფტექნიკური განათლების სისტემა. პერსპექტივაში დასახული პროგრამის განხორციელება განვითარების ინტენსიურ გზაზე ეკონომიკის გადაყვანისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების პირობებში წარმოუდგენელია, თუ შესაბამისად არ მოვამზადებთ ყოველმხრივ განვითარებული და მაღალკვალიფიციური მუშათა კადრები.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის განვითარებაზე, ამ სისტემის მეშვეობით კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების გეგმების და ქვეყნის სახალხო მეურნეობის გეგმების სრულფასოვან, ოპტიმალურ შესაბამისობაზე მრავალი ეკონომიკური, დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორი ახდენს გავლენას. ამ დროს, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ

⁴ გაზ. „კომუნისტი“, 27/IV, 1983 წ.

ის ფაქტი, რომ ამჟამად სწრაფად იზრდება მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზების, კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებული უბნების, საამქროების, წარმოებების რაოდენობა. ცხადია, ყოველივე ეს მუშების თვისებრივად სხვაგვარ მომზადებას მოითხოვს.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები მოხდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, არასაწარმოო სფეროს ცალკეული დარგების ტექნიკური შეიარაღების დონის ამაღლების მხრივ. პროფტექგანათლების სისტემის განვითარებისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს ყველა ეს და ბევრი სხვა ფაქტორი, რადგან ისინი დიდ და სერიოზულ მოთხოვნებს უყენებენ მასობრივი პროფესიების კადრებს, სავალდებულოს ხდიან ფართო პროფილის ისეთი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც გააჩნიათ საფუძვლიანი ზოგადი განათლება.

ფართო პროფილის კვალიფიციური მუშა-კადრის მომზადების გაფართოების აუცილებლობას განაპირობებს ისიც, რომ დღეს მუშა, მეტწილ შემთხვევაში, წარმოების პროდუქტის შექმნაში უშუალო მონაწილეობიდან გადადის წარმოების პროცესის მართვასა და მომსახურებაზე, მის კონტროლსა და რეგულირებაზე. ამ ფუნქციების შესრულება კი მხოლოდ ფართო პროფილის კვალიფიციურ მუშას შეუძლია. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებელთა კურსდამთავრებულები გაცილებით უფრო სწრაფად ეუფლებიან უმაღლეს საკვალიფიკაციო თანრიგებს და ცვლის ნორმების შესრულების უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე იმ მუშებს, რომელთაც ზოგადი განათლება არა აქვთ და უშუალოდ წარმოებაში გაიარეს მომზადება.

უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემა მოწოდებულია ამზადებდეს არა მარტო ტრადიციულ სპეციალობათა მუშებს, არამედ, ამასთან ითვალისწინებდეს ახალი დარგების, საწარმოების საამქროების განვითარებას, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას. იმ პროფესიათა შორის, რომლებსაც უკვე ეუფლებიან პროფტექსასწავლებელთა აღსაზრდელები, გაჩნდნენ მიკროსქემების ამწყობნი, ვაკუუმდამფრქვევი პროცესების ოპერატორები, სამრეწველო რობოტების, პროგრამული მართვის გამმართავები და შემკეთებლები, კვანტური ხელსაწყობების ელემენტების ოპტიკოსები და ა. შ. ცხადია, ამ და ბევრი სხვა პროფესიის დაუფლება, ჩვეულებრივ შეუძლიათ მხოლოდ იმ მუშებს, რომლებსაც აქვთ საფუძვლიანი და მყარი ცოდნა. ეს სავესებით კანონზომიერი პროცესია. ხვალინდელი მუშა ხომ ის ადამიანია, რომელსაც აქვს მაღალი ინტელექტი, შეუძლია შემოქმედებითად იაზროვნოს და გარკვეული მოცულობით ფლობს საინჟინრო ცოდნას.

როგორც ცნობილია, წარმოებაში შრომის ნაყოფიერების მაღალი დონის მიღწევა შესაძლებელია, ერთის მხრივ, ტექნიკური პროგრესის განუხრელი განხორციელებით, წარმოების მართვის ეფექტური სისტემების გამოყენებით და, მეორე მხრივ, შრომისადმი ადამიანის მაღალგანვითარებული უნარის არსებობით. ამ უკანასკნელში იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ცოდნა, დახელოვნება, კვალიფიკაცია, ინდივიდის ფიზიკური და მორალური მდგომარეობა და მისი შრომისადმი განწყობა.

შრომისადმი მიდრეკილებისა და შრომისუნარიანობის ცნება ვრცელი და მრავალწახნაგოვანია. იგი განსაზღვრულია საზოგადოებაში გაბატონებულ-



ლი წარმოებით ურთიერთობათა ხასიათით, საწარმოო ძალთა განვითარების დონით, სოციალური ცხოვრების პირობებითა და სხვ. ჩვენი საზოგადოების განმასხვავებელი ნიშანთვისება ისაა, რომ შრომისადმი ადამიანის უნარის განვითარების საბოლოო მიზანი არის არა მხოლოდ მაქსიმალური ეკონომიკური შედეგების მისაღწევად მისი შრომისუნარიანობის უფრო სრული გამოყენება, არამედ ახალი ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი, პარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება.

შრომისადმი მაღალგანვითარებული უნარის მქონე ადამიანის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი არასაწარმოო სფეროს დარგებს ეკუთვნის. მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვანს წარმოადგენს მშრომელთა ზოგად-საგანმანათლებლო დონის ამაღლება. განათლება, ისე როგორც არასაწარმოო სფეროს ბევრი სხვა დარგი მატერიალური წარმოების განვითარებაზე არაპირდაპირი გზით ახდენს გავლენას. მათ შორის ურთიერთობის ერთგვარ შუალედურ რგოლს წარმოადგენს ცოდნის დონე, გამოცდილება, ჩვევები და სხვა, ე. ი. შრომისადმი უნარის გამოვლენის ობიექტური წინამძღვრები, ანუ ეგრეთწოდებული საგანმანათლებლო პოტენციალი.

თანამედროვე პირობებში სულ უფრო იზრდება განათლების გავლენა მატერიალური წარმოების განვითარებაზე. ამის დასადასტურებლად მოვიტანთ შემდეგ მონაცემებს. მაგალითად, მე-4 თანრიგის ზეინკალ-მეინსტრუმენტე 5 წლიანი მუშაობის სტაჟით, რომელსაც აქვს 8 კლასის განათლება, ცვლის დავალებას 35 პროცენტის გადაჭარბებით ასრულებს, ვიდრე ისეთივე მუშა, რომელსაც აქვს 5 კლასის განათლება. სრული საშუალო განათლების მქონე მუშების გამომუშავების ნორმები 25 პროცენტით აღემატება 8 კლასის განათლების მქონე მუშათა გამომუშავების ნორმებს⁵.

მუშათა ზოგადსაგანმანათლებლო დონის ზრდასთან ერთად მცირდება დრო ახალ სამუშაოთა ათვისებაზე და სატარიფო თანრიგის ამაღლებაზე, მცირდება პროდუქციის წუნი, მალდება მშრომელთა მონაწილეობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში. მაგალითად, 5—6 კლასის განათლების მუშას სატარიფო თანრიგის ამაღლებაზე 5-ჯერ მეტი დრო სჭირდება, ვიდრე საშუალო განათლების მუშას. მუშა-მედაზგე, რომელიც მომზადებულ იქნა მოკლევადიან კურსებზე, 8-ჯერ მეტ წუნიან პროდუქციას უშვებს, ვიდრე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მომზადებული მუშა⁶.

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდა, რომელიც მიიღწევა საგანმანათლებლო პოტენციალის შექმნის მეშვეობით, თავის ასახვას პოულობს ნაციონალური შემოსავლის განსაზღვრული ნაწილის შექმნაში. აკადემიკოს ს. სტრუმილინის გაანგარიშებით, 1960 წელს ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ნაციონალური შემოსავლის 23 პროცენტი მოდიოდა განათლების წილად⁷.

⁵ Жамин В. А. Изменения характера труда в условиях научно-технического прогресса и подготовка квалифицированных кадров — журн. «Вопросы экономики», 1970, № 12, с. 107.

⁶ Журн. «Коммунист», 1973, №17, с. 10.

⁷ Струмилин С. Г. Эффективность образования СССР, «Экономическая газета», 1962, №14, с. 28.

შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და ნაციონალური შემოსავლის გადიდებაზე საგანმანათლებლო პოტენციალის ზრდის გავლენა განსაზღვრულია თვით სახალხო განათლების თვისობრივი სრულყოფითა და მასზე დაკისრებული ფუნქციის შესრულებული დონის გაუმჯობესებით.

სოციალიზმის დროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა განვითარების პროცესში განუწყვეტლივ ზრდის და აფართოებს თავის ფუნქციას. მთავარი ამოცანის — ცოდნის მიცემის შესრულების პარალელურად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სულ უფრო და უფრო აფართოებს თავის ფუნქციას პიროვნების აღზრდისა და მოზარდი თაობის პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. სასკოლო და სკოლის გარეშე მუშაობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ახალგაზრდა თაობის ინტერესების გაღვივებასა და მიდრეკილებების გამოვლენას, მის ესთეტიკურ აღზრდას. დიდი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის როლი მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, მათთვის შრომითი ჩვევების ჩანერგვის საქმეში.

დღეისათვის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს მოსწავლეთა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის მომზადება. ამჟამად, ქვეყნის დღის საშუალო საგანმანათლებლო სკოლების 98 % ანხორციელებს ახალგაზრდების გაღრმავებულ შრომით სწავლებას. მე-9, მე-10 (11) კლასის მოსწავლეები გადიან შრომით სწავლებას სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ტრანსპორტზე, სამშენებლო ობიექტებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სასკოლო და სკოლათაშორის სასწავლო-საწარმოო კომბინატებში, სამოსწავლო საწარმოო ბრიგადებში, მოსწავლეთა შრომით გაერთიანებებში, სასკოლო სახელოსნოებში, ლაბორატორიებსა და კაბინეტებში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის როლი და მნიშვნელობა მარტო ზემოაღნიშნულით როდი ამოიწურება. სოციალისტურ საზოგადოებაში განათლებას დაკისრებული აქვს უფრო მაღალი მიზნები — პიროვნების ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა. ამ მიზნის განხორციელებაში სახალხო განათლების დაწესებულებებთან ერთად დიდი როლი ეკუთვნის კულტურას, ხელოვნებას, ფიზკულტურას და სპორტს. ჩვენს ქვეყანაში მუშაობს საერთო — საგანმანათლებლო და კვალიფიციური დონის ზრდას თან სდევს მშრომელთა ფიზიკური და სულიერი კულტურის ამაღლება.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეტაპმა განაპირობა პროფტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სადღეისო მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნის აუცილებლობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმმა და სსრკ უმაღლესი საბჭოს მე-11 მოწვევის პირველმა სესიამ მოიწონა ჩვენს ქვეყანაში ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი. აღნიშნული რეფორმა ახალგაზრდობის განათლების, მისი პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის გაუმჯობესების, ჩვენი საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების შემდგომი წინსვლის აუცილებლობითაა ნაკარნახევი. იგი შეიცავს ზოგადი, საშუალო და პროფესიული განათლების შემდგომი სრულყოფის, სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისისა და 1984 წლის თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ახალგაზრდა თაობის აღზრდის მეცნიერულად დასაბუ-



თებულ სტრატეგიულ პროგრამას. მისი განხორციელება კიდევ ერთი დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სახალხო მეურნეობის კვალიფიციური სამუშაო ძალით უზრუნველყოფისა და ჩვენი ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარების მიმართულებით.

ქვეყნის სახალხო მეურნეობის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სისტემას. სახალხო მეურნეობის სწრაფი განვითარება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება გარდაუვლად იწვევს უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე მოთხოვნის ზრდას. ეს, პირველ რიგში, შეეხება მატერიალური წარმოების პროცესში საინჟინრო-ტექნიკური შრომის გამოყენების მასშტაბების გადიდებას, რაც უცილობელ წინამძღვარს წარმოადგენს სკკპ 26-ე ყრილობის მიერ საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში პარტიისა და მთავრობის დაუღალავი ზრუნვის შედეგად შეიქმნა და ჩამოყალიბდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების კადრების მომზადების მძლავრი სისტემა, რაზედაც ნათლად მეტყველებენ ცხრილის მონაცემები.

ცხრილიდან ჩანს, რომ უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა უმაღლესი და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების ქსელი. ამასთან, გაცილებით უფრო სწრაფად იზრდებოდა მათში მოსწავლე სტუდენტების რაოდენობა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ უმაღლესი და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების რაოდენობის ზრდასთან ერთად ხორციელდება მათი გამსხვილება. სტუდენტთა საერთო რაოდენობის ზრდის პირობებში, უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე მოსწავლეთა რაოდენობა, რაც განპირობებულია 60-იანი წლებიდან ჩვენს ქვეყანაში წარმოებისაგან მოუწყვეტილ კვალიფიციური კადრების მომზადების გაფართოების მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებით.

საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ჩვენს რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების კადრების მომზადების სისტემის განმტკიცების მიმართულებით. 1922—1982 წწ. საქართველოში უმაღლესი სკოლების რიცხვი 6-დან 19-მდე ხოლო საშუალო-სპეციალური სასწავლებლების რაოდენობა 15-დან 90-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში, უმაღლეს სკოლებში სტუდენტთა რაოდენობა 8,5 ათასიდან 87,4 ათასამდე, ხოლო საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობა 2,8 ათასიდან 53,0 ათასამდე გადიდა⁸.

ქვეყნის უმაღლესმა და საშუალო-სპეციალურმა სასწავლებლებმა საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე (1918—1981 წწ.) მოამზადეს 45,0 მლნ სპეციალისტი, მათ შორის უმაღლესი განათლებით 17,3 მლნ და საშუალო — სპეციალური განათლებით 27,7 მლნ სპეციალისტი. მარტო მე-10 ხუთწლედის მანძილზე ქვეყნის უმაღლესი და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში

⁸ Народное хозяйство СССР, 1922—1982, с. 510—511.

ცხრილი

სრკ უმაღლესი და საშუალო-სპეციალური სასწავლებლებისა და მათში სტუდენტების რაოდენობა
1940—1982 წწ /სასწავლო წლის დასაწყისათვის/

მაჩვენებლები	1940/41	1965/66	1970/76	1975/76	1980/81	1981/82	1981/82 წწ. %-ობით 1940/41 წწ.
უმაღლესი სასწავლებლები სულ	817	756	805	856	883	891	109,1
მათში სტუდენტების რაოდენობა ათას.	812	3861	4581	4854	5235	5284	6,5-ჯერ
მ. შ. სწავლობენ განყოფილებებზე:							
დღის	558	1584	2241	2628	2978	3011	5-ჯერ
სიღამის	27	569	658	644	649	648	24-ჯერ
დაუსწრებელი	227	1708	1682	1582	1608	1625	7-ჯერ
საშუალო-სპეციალური სასწავლებლები							
სულ	3773	3820	4223	4302	4383	4393	116,4
მათში მოსწავლეთა რაოდენობა ათას.	975	3659	4388	4525	4612	4557	4-ჯერ
მ. შ. სწავლობენ ანკოფილებზე:							
დღის	787	1835	2528	2817	2894	2868	3-ჯერ
სიღამის	32	628	645	516	504	478	14-ჯერ
დაუსწრებელი	156	1196	1185	1192	1214	1211	7-ჯერ

* Народное хозяйство СССР, 1922—1982, с. 506.

მომზადდა 10 მლნ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის.

ყოველივე ამის შედეგად, მოსახლეობის 10 ათას კაცზე უმაღლესი განათლების სპეციალისტების გამოშვება 1965—1981 წწ. ქვეყნის მასშტაბით 17-დან 31-მდე, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში 21-დან 30-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში, საშუალო-სპეციალური განათლების სპეციალისტების გამოშვების ანალოგიური მაჩვენებელი კავშირის მასშტაბით 27-დან 48-მდე, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში 18-დან 31-მდე გადიდა¹⁰.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ინჟინერ-ტექნიკოსთა მომზადება მრეწველობის ისეთი წამყვანი დარგებისათვის როგორცაა გეოლოგია, სასარგებლო წიაღისეული საბადოების დაზვერვა და დამუშავება, ენერგეტიკა, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა და ხელსაწყოთმშენებლობა, ელექტრონული ტექნიკა, ელექტროხელსაწყოთმშენებლობა და ავტომატიკა, რადიოტექნიკა და კავშირგაბმულობა, ქიმიური ტექნოლოგია და სხვა. ასევე სწრაფად იზრდება კადრების მომზადება მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობისათვის, რაც განპირობებულია სახალხო მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი თვისებრივი ძვრებითა და დასახელებულ დარგთა წამყვანი როლითა და მნიშვნელობით სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

კვალიფიციურ სპეციალისტებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნა მომავალშიც გაიზრდება. 1981—1985 წწ. და 1990 წლამდე სსრკ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებით დასახულია მომზადდეს 10 მლნ უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების სპეციალისტი¹¹. განსაზღვრულია, აგრეთვე, განხორციელდეს ღონისძიებანი სპეციალისტების მომზადების ხარისხისა და მათი სახალხო მეურნეობაში გამოყენების გაუმჯობესების მიმართულებით.

უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურება ისაა, რომ ამჟამად უფრო მეტი ყურადღება ექცევა სპეციალისტ-კადრების მომზადების თვისებრივ მხარეს, ვიდრე მის რაოდენობრივ მაჩვენებლებს. უმაღლესი სკოლის საქმიანობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება იმითაც გამოიხატება, რომ უკანასკნელ ხანს მოხდა შესამჩნევი ცვლილებები უმაღლესი სასწავლებლის ტექნიკურ აღჭურვაში. უმაღლეს სკოლებსა და ტექნიკუმებში ახლა ფართოდ გამოიყენება სწავლების სხვადასხვა ტექნიკური საშუალებანი, საგრძნობლად გაუმჯობესდა სასწავლო ლაბორატორიების ტექნიკური აღჭურვილობა და მათი გამოყენება.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში უმაღლესი სკოლა უშუალოდ წყვეტს სოციალიზმის უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შეერთების ამოცანას. ამისათვის კი საჭიროა უმაღლესი სკოლა ფართოდ იყენებდეს სწავლების უფრო მოქნილ ფორმებსა და მეთოდებს. ამჟამად უმაღლეს სკოლებსა და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში ტარდება ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გადასინჯვას, ახალი სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელ-

¹⁰ Там же, с. 513, 516.

¹¹ სკკპ 26-ე ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 274.



მძღვანელოების გამოცემის, წავლების აქტიური ფორმების და მეთოდების დანერგვას.

სასწავლო პროცესის შინაარსის სრულყოფა მიმართულია კადრების მომზადების ზოგადმეცნიერული და ზოგადთეორიული საფუძვლების გაძლიერებისა, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისა და მეცნიერულ-ტექნიკური შემოქმედების განვითარებისა. ამის შესაბამისად ხორცილდება სათანადო ცვლილებები უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში არსებულ სპეციალობებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, პირველ რიგში, ფართო პროფილის სპეციალისტების მომზადების გაფართოებას.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შესაბამისი სპეციალისტების მომზადების აუცილებელ პირობას წარმოადგენს უმაღლეს სკოლაში სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან სასწავლო პროცესის გარდაუვალი შერწყმა. ექვს არ იწვევს, რომ სპეციალისტების მომზადების ხარისხი გაცილებით უკეთესია იმ უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც კარგადაა დაყენებული მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა, რამდენადაც იგი საშუალებას აძლევს როგორც სტუდენტებს, ისე პროფესორ-მასწავლებლებს შემოქმედებითი მუშაობის ატმოსფეროს შექმნისათვის, მეცნიერული კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში გამოყენებისათვის. ქვეყნის ბევრი უმაღლესი სასწავლებელი გადაიქცა მსხვილ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად, სადაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება კარგადაა შეხამებული სამეცნიერო მუშაობასთან და სამეცნიერო კადრების მომზადებასთან.

სპეციალისტების მომზადების საქმეში მიღწეული უდიდესი მასშტაბები და სპეციალისტებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაღალი დონე დღის წესრიგში აყენებს სპეციალისტების მომზადებისა და მათზე მოთხოვნის მაჩვენებლებს შორის გეგმიური კავშირის განმტკიცების ამოცანას. აქვე, წინა პლანზე დგება მთლიანად სპეციალისტ-კადრების მომზადებაში უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების კადრების შეფარდების ოპტიმიზაციის საკითხი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ქვეყნის მასშტაბით სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია უმაღლესი განათლებით 12,6 მლნ, ხოლო საშუალო-სპეციალური განათლებით 17,2 მლნ კაცი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ უმაღლესი განათლების ერთ სპეციალისტზე მოდის საშუალო-სპეციალური განათლების მქონე 1,36 სპეციალისტი¹². ჩვენს რესპუბლიკაში შებრუნებული სურათია. კერძოდ, სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ საშუალო-სპეციალური განათლების მქონე 1 სპეციალისტზე მოდის უმაღლესი განათლების მქონე 1,39 სპეციალისტი. ე. ი. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში გაცილებით უფრო მეტი მუშაობს სპეციალისტი უმაღლესი განათლებით (298 ათასი), ვიდრე საშუალო-სპეციალური (214 ათასი) განათლებით¹³.

ცხადია, ასეთი თანაფარდობა სრულებით ვერ პასუხობს კადრების მომზადებისა და ოპტიმალური გამოყენების მოთხოვნებს. სპეციალისტების აზრით სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ კვალიფიციური კადრების სტრუქტურული თანაფარდობის ოპტიმალურ ვარიანტად მიჩნეულია უმაღლესი გა-

¹² Народное хозяйство СССР, 1922—1982, с. 407.

¹³ Народное хозяйство Грузинской ССР, с. 171.

3. „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1985, № 4

ნათლების ერთ სპეციალისტზე საშუალო-სპეციალური განათლების მქონე 2—3 სპეციალისტი¹⁴.

გარდა ამისა, სახალხო მეურნეობის რიგ დარგებში უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების სპეციალისტებს შორის თანაფარდობა არ შეიძლება იქნეს მიჩნეული რაციონალურად. მაგალითად, სრულებითაც არაა საკმარისი საშუალო-სპეციალური განათლების კადრები სოფლის მეურნეობაში, სადაც მკვეთრად ამაღლდა საშუალო რგოლის კადრების — განყოფილებების, ბრიგადების, ფერმების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და წვრილ საწარმოთა ხელმძღვანელების როლი და პასუხისმგებლობა. გარკვეული ხარვეზები არსებობს საშუალო რგოლის კადრების შერჩევაში, გამოყენებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. ეს, პირველ რიგში, შეეხება მრეწველობისა და მშენებლობის დარგებს. ამ ხარვეზების დასაძლევად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა მე-10 ხუთწლედში. მიმდინარე ხუთწლედში ეს მუშაობა უფრო ინტენსიური უნდა გახდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინჟინრებისა და ტექნიკოსების თანაფარდობის დასაბუთებული დარგობრივი ნორმატივების შემუშავებას, რაც საშუალებას მოგვცემს სპეციალისტების მომზადების ოპტიმალური პროპორციების დაგეგმვისათვის.

Р. Г. ДЖАВАХИШВИЛИ

РОЛЬ ОБРАЗОВАНИЯ В ВОСПРОИЗВОДСТВЕ РАБОЧЕЙ СИЛЫ

Резюме

В условиях научно-технической революции в обеспечении современного производства высококвалифицированной рабочей силой решающее значение придается народному образованию. В нашей стране подготовка рабочих кадров осуществляется через систему учебных заведений профтехобразования, которая была создана еще накануне Великой Отечественной войны. К началу 1983 г. в стране насчитывалось 7519 профтехучилищ, где за 1982 г. было подготовлено 2516 тыс. квалифицированных рабочих.

В формировании кадров важную роль играет общеобразовательная школа. Развитие современного материального производства невозможно без определенных трудовых навыков, опыта, уровня знаний, так называемого образовательного потенциала. В настоящее время количество общеобразовательных школ в стране превышает 143 тыс. с общим числом учащихся в 44,3 млн. Все более повышается роль общеобразовательной школы в профессиональной ориентации молодежи, в их эстетическом воспитании и создании условий для всестороннего развития личности.

¹⁴ Иванов Н. П. Научно-техническая революция и вопросы подготовки кадров в развитых странах капитала, М., 1971, с. 84.

В подготовке высококвалифицированных специалистов решающую роль играет система высшего и среднего специального образования. В настоящее время в стране функционируют 891 высшая и 4393 средних специальных учебных заведений, где соответственно учатся 5,3 млн. и 4,6 млн. студентов. За годы Советской власти подготовлено 45 млн. специалистов, в том числе 17,3 млн. с высшим и 27,7 млн. со средним специальным образованием. В современных условиях особое внимание уделяется качественному улучшению подготовки специалистов, оптимизации соотношения кадров с высшим и средним специальным образованием.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის არასაწარმოო სფე-
რის ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილებამ

В. Д. МУДЖИРИШВИЛИ

МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ РАЦИОНАЛЬНОГО
ИСПОЛЬЗОВАНИЯ СЫРЬЕВЫХ РЕСУРСОВ

В результате проведения в жизнь Коммунистической партией и Советским правительством организационных мероприятий по экономии и рациональному использованию материальных ресурсов были достигнуты значительные результаты, однако во всех отраслях промышленности по их эффективному использованию и снижению материалоемкости продукции имеются значительные резервы.

На ноябрьском 1982 года Пленуме ЦК КПСС было особенно подчеркнуто то обстоятельство, что государственные планы выполняются с большими производственными затратами. Практически не уменьшается материаломкость продукции, не уделяется должного внимания бережливому и рачительному использованию сырьевых и топливно-энергетических ресурсов.

Вышеуказанное обстоятельство ставит перед экономической наукой и практикой задачи совершенствования и применения в планировании такой системы показателей, которая значительно бы усилила воздействие плана на повышение эффективности использования материальных ресурсов¹.

Разработка стоимостных и натуральных показателей для учета и анализа уровня использования предметов труда, внедрение их в хозяйственную практику и проведение систематического контроля даст возможность объективнее оценить уровень их использования на предприятиях, в отрасли и в народном хозяйстве в целом, иметь полное представление, на каком участке работы необходимо уделить особое внимание, активно выявить и освоить резервы, разработать соответствующие организационно-технические и экономические мероприятия с целью дальнейшего улучшения использования сырьевых ресурсов.

Важнейшим показателем использования материальных ресурсов является материалоемкость продукции, которая, как и производительность труда и фондоотдача, принадлежит к числу основных показателей, характеризующих эффективность общественного производства. Показатель материалоемкости продукции среди этих показателей эффективности занимает особое место. Повышение эффективности производства во многом зависит от рационального использования материальных ресурсов и снижения материалоемкости. Снижение материалоемкости обеспечивает не только увеличение дополнительного выпуска продукции из того же объема ресурсов и улучшение использования оборотных фондов, но и оказывает большое влияние на повышение эффективности использования основных фондов и снижение затрат живого труда. Так же велико ее значение в сокращении потребности на капитальные вложения и трудовые ресурсы в сырьевых и добывающих отраслях промышленности и совершенствовании отраслевой структуры промышленности.

¹ Материалы XXVI съезда КПСС, М., 1981, с. 198.

Снижение материалоемкости общественного продукта является важнейшим фактором уменьшения фондоземещения материальных затрат и увеличения национального дохода. Как показывают расчеты, проведенные с помощью динамической межотраслевой модели, снижение материалоемкости на 0,1 процент позволяет увеличить темпы прироста национального дохода на 0,3—0,4 процента², вместе с тем материалоемкость в три раза больше влияет на темпы роста производства и национального дохода, чем фондоемкость³. Таким образом, влияние снижения материалоемкости на повышение эффективности производства весьма существенно и вместе с тем многообразно, что находит свое выражение в повышении производительности общественного труда и увеличении национального дохода и в конечном счете в улучшении благосостояния советского народа. Об этом свидетельствует то обстоятельство, что на сегодняшний день на большинстве предприятий промышленности в плановые задания по себестоимости выпускаемой продукции включен лимит материальных затрат (материалоемкость) на один рубль товарной продукции.

Несмотря на большую значимость снижения материалоемкости, следует признать, что этому показателю в экономической науке и хозяйственной практике не уделяется того внимания, которого она, несомненно, заслуживает. Если в экономической литературе исследования таких показателей, как производительность труда, фондоотдача уделялось большое внимание и они сравнительно более полно были изучены, связанный с материалоемкостью ряд теоретических и методологических вопросов и на данном этапе окончательно не решен и требует дальнейшего исследования. По ряду вопросов все еще не выработано единого мнения.

Как показало изучение соответствующей литературы, не существует единого мнения ученых о сущности, показателях, структуре и методах исчисления материалоемкости.

По сегодняшний день дискуссионным является вопрос, что включать в состав материальных затрат при исчислении материалоемкости продукции, какова закономерность их изменения в структуре общих затрат продукции и ряд вопросов, связанных с проблемой материалоемкости.

По нашему мнению, основная причина возникновения спорных вопросов заключается в различном толковании сущности материалоемкости, от правильного определения которой зависит разработка показателей, характеризующих уровень и динамику материалоемкости, а также совершенствование методики расчета материалоемкости.

По мнению некоторых ученых экономистов, материалоемкость характеризует долю овеществленного труда и стоимости продукта⁴.

Например, по мнению Рутгайзер В. М., «по существу материалоемкость и доля материальных затрат в стоимости продукции — одно-

² Саркисян Г. Экономический рост и экономия ресурсов, «Экономическая газета», 1981, № 42, с. 11.

³ Пашко И. Резервы экономии материальных ресурсов, журн. «Вопросы экономики», 1978, № 6, с. 15.

⁴ Чечета А. П. Экономия материальных ресурсов: пути совершенствования учета и анализа, М., 1983, с. 8; Ахмедов А. И. Экономико-математический анализ материалоемкости общественного производства, Баку, 1980, с. 190; Первушин С. П. Материалоемкость производства, М., 1976, с. 4 и др.



значные понятия. Попытка их принципиального разграничения... совершенно неправомерна»⁵.

Другая часть ученых экономистов не соглашается с вышеуказанным положением. По их мнению, материалоемкость характеризует только абсолютные затраты овеществленного труда на единицу продукции⁶. Так, З. Кормильчикова отмечает: «Следует отличать материалоемкость продукции от доли материалов в стоимости продукта, при анализе последней речь идет не об абсолютных размерах прошлого труда на единицу продукции, а по соотношению затрат живого и прошлого труда в стоимости товара»⁷.

Некоторые экономисты считают, что материалоемкость выражает как удельный вес овеществленного труда в стоимости продукции, так и удельные затраты овеществленного труда на единицу продукции⁸. Например, И. Пашко, развивая свои концепции о сущности материалоемкости, в конце делает вывод о том, что «таким образом, по своей экономической природе материалоемкость выражает удельные текущие затраты овеществленного труда на единицу продукции с определенной потребительской стоимостью или долю овеществленного труда в общей стоимости вновь созданной продукции»⁹. Следует отметить, что по мнению некоторых исследователей, «дискуссия об определении материалоемкости как доли материальных затрат в стоимости продукции или же как уровня расхода сырья и материалов на производство единицы продукции не является принципиальной»¹⁰.

Наряду с этим существует и другая концепция, с мнением сторонников которой согласны и мы. По этой концепции материалоемкость характеризует эффективность использования одного из важнейших элементов производства — материальных ресурсов (сырье, основные и дополнительные материалы, топливо, электроэнергия и т. д.)¹¹.

В экономической литературе о сущности материалоемкости есть и другие мнения, где речь идет не об экономической сущности, материалоемкости, а о формах ее количественного выражения, в частности, об ее исчислении. Так, А. И. Ноткин отмечает: «Материалоемкость есть отношение затрат материалов не к данной массе живого труда, а к сумме потребительных стоимостей, которая производится данной мас-

⁵ Рутгайзер В. М. Региональные особенности общественного роста производства, М., 1972, с. 109.

⁶ Дунаева В. С. Экономические законы социализма и проблемы народнохозяйственного оптимума, М., 1976, с. 182; Сорокопуд М. О структуре общественного продукта и пропорциях воспроизводства, журн. «Плановое хозяйство», 1976, № 7, с. 72 и др.

⁷ Кормильчикова З. Роль экономики живого и овеществленного труда в повышении эффективности производства, журн. «Экономические науки», 1969, № 8, с. 18.

⁸ Лейкина К. Б. Материалоемкость и эффективность общественного производства, М., 1981, с. 3; Захаров А. Н., Грачев И. И. Снижение материалоемкости производства, М., 1983, с. 17, и др.

⁹ Пашко И. Г. Проблемы снижения материалоемкости, М., 1977, с. 22.

¹⁰ Каюмов Н. К. Проблемы снижения материалоемкости, Душанбе, 1981, с. 16—17.

¹¹ Левина В. В. Основные направления улучшения использования сырья в промышленности СССР, М., 1975, с. 8; Фальков А. М., Викулов А. П., Добрынин А. И. и др. Материалоемкость продукции и эффективность общественного производства. Л., 1981, с. 30 и др.

сой живого труда из данного количества материалов и которая возрастает в соответствии с подъемом производительности труда»¹².

Как видно из вышеизложенного, о сущности материалоемкости как сложного экономического понятия, существуют различные мнения.

Мнение тех авторов, считающих, что материалоемкость должна быть определена как удельный вес овеществленного труда в стоимости продукции, нельзя считать правильным, так как материалоемкость при определении таким методом (отношение фонда возмещения материальных затрат к валовому общественному продукту в процентном выражении) представляет показатель, отражающий стоимостную структуру общественного продукта, позволяющий охарактеризовать соотношение между перенесенной стоимостью и всей стоимостью продукции, однако рассмотрение этого показателя в динамике дает возможность судить не об изменении уровня использования материальных ресурсов, а об изменении соотношения затрат овеществленного и живого труда под влиянием научно-технического прогресса.

Как известно, в результате повышения роста производительности труда в объеме общих затратах продукции, уменьшаются затраты живого труда, а удельный вес овеществленного труда увеличивается, что является закономерным явлением в условиях современного научно-технического прогресса. К. Маркс писал: «По мере развития производительной силы труда стоимость сырья образует все возрастающую составную часть стоимости товарного продукта, и не только потому, что она целиком входит в эту последнюю, но также потому, что в каждой доле всего продукта обе части, — как часть, соответствующая износу машин, так и часть, создаваемая вновь присоединенным трудом, — уменьшаются. Вследствие этого движения в сторону понижения относительно возрастает другая часть стоимости, образуемая сырьем»¹³.

Следует отметить то обстоятельство, что, возможно, абсолютная величина удельных материальных затрат на единицу продукции уменьшается, то есть имеет место улучшение использования материальных ресурсов, а удельный вес овеществленного труда в стоимости продукции увеличивается. Поэтому мы не можем согласиться с мнением И. Г. Пашко, что «материалоемкость общественного производства является показателем, раскрывающим увеличение или уменьшение доли материальных затрат в общественном продукте, увеличение или уменьшение эффективности использования материальных ресурсов»¹⁴.

По нашему мнению, совершенно справедливо замечает А. М. Поляк: «Снижение удельной материалоемкости может происходить (и часто происходит в действительности) и при повышающейся доле фонда возмещения в общественном продукте или доле прошлого труда в стоимости продукции»¹⁵. Следовательно, увеличение удельного веса материальных затрат в стоимости продукции не тождественно увеличению их абсолютных затрат на единицу продукции.

Естественно, на вышеуказанные показатели оказывает влияние изменение величины затрат предметов труда, однако полностью охарактеризовать последнее не может, поэтому судить о необходимости увеличения или уменьшения материалоемкости продукции, т. е. изменения уровня эффективности использования предметов труда с помощью увеличения или уменьшения удельного веса овеществленного труда невозможно.

¹² Ноткин А. И. Структура народного хозяйства, М., 1967, с. 26.

¹³ К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. 25, ч. 1, с. 121.



Что касается мнения тех экономистов, которые утверждают, что материалоемкость характеризует материальные затраты всего овеществленного труда на единицу продукции, также нельзя считать совершенным, так как материалоемкость не характеризует величину овеществленного труда на единицу продукции, а показывает величину затрат всей совокупности потребляемых материальных ресурсов на производство единицы продукции, или же уровень эффективности текущих материальных затрат, необходимых для создания единицы потребительской стоимости.

Таким образом, можно сделать вывод, что экономическая сущность материалоемкости заключается в том, что она характеризует уровень эффективности использования предметов труда в процессе производства единицы продукции с определенной потребительской стоимостью.

Необходимо отметить, что в экономической литературе пока еще не существует единого мнения о классификации показателя материалоемкости. Одна часть ученых экономистов классификацию показателя проводит только по масштабу его применения¹⁶, другая группа ученых отождествляет как масштаб применения, так и вид показателя¹⁷. Например, по мнению А. П. Чечета необходимо различить народнохозяйственную, отраслевую, общую, частную, удельную и материалоемкость отдельных деталей и узлов¹⁸.

Мы полагаем, что классификация показателя материалоемкости должна проводиться как по масштабу применения, так и по виду показателя.

Вместе с тем, они должны быть классифицированы таким образом, чтобы каждый вид материалоемкости был применен в любом масштабе его применения.

Если материалоемкость продукции характеризует эффективность использования предметов труда в масштабе народного хозяйства, отрасли предприятий и отдельных видов продукции, то необходимо различать народнохозяйственную, отраслевую, индивидуальную и конкретную материалоемкость.

Народнохозяйственная материалоемкость характеризует эффективность использования затраченных материальных ресурсов на производство совокупного общественного продукта. Отраслевая материалоемкость характеризует эффективность использования затраченных материальных ресурсов на производство валовой продукции отрасли. Индивидуальная — соответственно на валовую (товарную) продукцию производственного объединения, предприятия, а конкретная — на производство отдельных, конкретных видов продукции.

Показатель материалоемкости продукции по видам должен быть сгруппирован следующим образом: общая и частная. Показатель общей

¹⁴ Пашко И. Г. Проблемы снижения материалоемкости, М., 1977, с. 22.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებმა 1983 წელი აღმავლობით დაიწყეს. კარგი შედეგები გვექონდა შრომის ნაყოფიერების და წარმოების მოცულობის ზრდის საქმეში. დღის წესრიგში ჩადგა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის, ახალი რეზერვების ძიება-გამოვლენის ნედლეულის მასალების, სათბობისა და ელექტროენერჯის მომჭირნე ხარჯვა-

¹ გაზეთი „თბილისი“, 1984 წლის 30 აპრილი. გვ. 1.

² იქვე.



სთან დაკავშირებული საკითხები. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველგან და კრეკულ-
თვის როდი გვაქვს კარგად საქმე. ამსანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თავის სიტყვაში
თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის კრებაზე
(1983 წლის 10 იანვარი) წარმატებების პარალელურად ბევრი რამ საჭირობო-
როტო ნაკლიც აღნიშნა. კერძოდ, სპეცგმო დისციპლინის დაცვაზე საუბრისას
მან თქვა: „განა შეიძლება მშრომელებს მოსთხოვო მაღალი უკუგება, თუ
მარტო შარშან ცხრა თვეში, ზოგიერთი საკავშირო სამინისტროს მიზეზით,
რესპუბლიკის მრეწველობაში საგემო დავალებანი 492-ჯერ შეიცვალა შემ-
ცირების მიზნით, ხოლო ამ მიზეზით დაკლებული პროდუქციის მოცულობამ
384 მლნ მანეთს გადააჭარბა. 200 მლნ მანეთზე მეტი სამრეწველო პროდუქ-
ცია დაკლებული ამავე პერიოდში ასორტიმენტის გეგმის დარღვევის გამო“³.

ამდენად, ამხ. ე. შევარდნაძემ მართებულად მიუთითა რესპუბლიკის სა-
ხელმწიფო საგემო კომიტეტს, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს
და სხვა შესაბამის ორგანოებს, რომ გეგმაში ცვლილებები არ შეიტანონ ვი-
დრე გულდასმით არ განიხილავენ და საკითხს რესპუბლიკის უმაღლეს საგე-
გმო და სტატისტიკურ ორგანოებს არ შეუთანხმებენ.

არც სახელმწიფო დისციპლინის დაცვის საქმეში გვაქვს სახარბიე-
ლო მდგომარეობა, „რესპუბლიკის თითქმის ყოველი მესამე საწარმო ვერ
ასრულებს თავის სახელმწიფო ვალდებულებებს, ხოლო გასულ წელს
დაკლებული პროდუქციის მოცულობამ 300 მილიონ მანეთს გადააჭარბა.
მრეწველობაში აღრიცხულია სახელმწიფო ვალდებულების ათი ათასზე მე-
ტი შემთხვევა“⁴.

დისციპლინის დარღვევის ფაქტები უფრო მეტად შეიმჩნეოდა რესპუბ-
ლიკის კვების, მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების სა-
წარმოებში.

„მდგომარეობა უკეთ არც საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებშია.
მათ წილად მოდის დაკლებული პროდუქციის მთელი მოცულობის 40 პრო-
ცენტი“⁵.

შარშან 803 საწარმომ, რომლებიც სახელმწიფო ვალდებულებებით
არიან დაკავშირებული სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მთლიანი პროდუ-
ქციის რეალიზაციის გეგმა თუმცა გადააჭარბებთ შეასრულა, მაგრამ ვალდე-
ბულებზე ნავარაუდევო ნაწარმის მიწოდების დავალებას მხოლოდ 96,4 პრო-
ცენტით გაართვა თავი. 251 საწარმომ დაალაღა მონუმენტული, გაუცრუ-
მას გეგმის შესრულების იმედი.

ვალდებულების შესრულების საქმეში მიწოდების სიმადლეზე ვერ აღ-
მოჩნდნენ რესპუბლიკის სამშენებლო სამინისტროს 11 საწარმო, ხე-ტყისა და
ხის დამამუშავებელი სამინისტროს — 12, ხილბოსტნეულის მეურნეობის სა-

³ იხ. თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო კოლექტივის კრების, გორის რაიონის
ტყვიავის სოფლის ყრილობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტივის კრების მა-
სალები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1983, გვ. 23.

⁴ იქვე, გვ. 24.

⁵ იხ. ვაზ. „კომუნისტი“, 1983 წ. 3 თებერვალი, დაცევით სახელმწიფო დისციპლი-
ნა.

⁶ იქვე.

მინისტროს — 16, „სამტრესტის“ — 16, საქართველოს ჩაის — 8 საწარმო და ზოგიერთი სხვა ორგანიზაცია⁷.

ამხანაგმა ე. შევარდნაძემ გაამახვილა აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, საწარმოებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობათა ყურადღება იმის თაობაზე, რომ საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის ისეთმა ორგანოებმაც კი, როგორცაა ფინანსთა სამინისტრო, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის და სამშენებლო ბანკის კანტორები, უაღრესად მკაცრი და პრინციპული პოზიცია უნდა დაიკავონ. ჯერ კიდევ 1974 წლის ოქტომბერში სსრ კავშირს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟის და სსრ კავშირის მშენებანკის გამგეობის ხელმძღვანელობამ ერთობლივი წერილით დაავალა მშენებანკის დაწესებულებებს, რომ იმ შემთხვევაში თუ შემკვეთები და მოიჯარე ორგანიზაციები ერთმანეთის მიმართ სარჩელს არ აღძრავენ, არბიტრაჟში ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დარღვევის გამო, ასეთი სარჩელის აღძვრა უნდა იკისრონ მშენებანკის დაწესებულებებმა.

ამ ღონისძიებების გატარებამ გარკვეული დადებითი შედეგი გამოიღო. ამიტომ იყო, რომ 1981 წლის ჩვენს სამეცნიერო საკვლევ თემაში „კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება-დაკრედიტების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დარგებში“, ერთ-ერთ რეკომენდაციად შეტანილ იქნა აღნიშნული ღონისძიების სახბანკის სისტემაშიც გატარების აუცილებლობა. რადგან სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს არანაკლებად ვხვდებით სოფლის მეურნეობის დარგებშიც რომელთაც აფინანსებენ და აკრედიტებენ სახბანკის დაწესებულებები, საჭიროდ მივიჩნით სახბანკის დაწესებულებებსაც მინიჭებოდათ უფლება თავიანთი ინიციატივით აღძვრათ სარჩელი არბიტრაჟში ბრალეული მხარის მიმართ დაზარალებულის სასარგებლოდ, იმ შემთხვევაში როდესაც დაზარალებული მხარე პასიურობს და თავს იკავებს სარჩელის აღძვრისაგან.

ასეთი უფლებების მინიჭების დაკანონება სახბანკის სისტემაში, უდაოდ ხელს შეუწყობდა სახელმწიფო დისციპლინის დაცვას და აამაღლებდა შემკვეთსა და მოიჯარადრეს შორის პასუხისმგებლობას, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ყველა იმ დარგში, საფინანსო კონტროლს სახბანკის დაწესებულებები რომ ანხორციელებენ⁸. თანამედროვე პირობებში, როდესაც ყველგან და ყველაფერში სანიმუშო დისციპლინა აუცილებელი, სახელმწიფო დისციპლინის დაცვას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა ნიშნავს დააღალატო შენიძობიანად დარგი, შეაფერხო პროდუქციის გამოშვება, შელახო საწარმოსა და მისი პროდუქციის მარკის პრესტიჟი, არეულობა შეიტანო რიტმულ — მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, საწარმოებსა და ორგანიზაციებს შეუქმნა ცუდი საფინანსო მდგომარეობა, ამასთან, ხელი შეუშალო ბრიგადული იჯარის დანერგვას, პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენებას და მკაცრი მო-

⁷ გაზ. „კომუნისტი“, 1983 წ. 3 თებერვალი, „დავიცვათ სახელმწიფო დისციპლინა“.

⁸ მ. ი. როკეტლიშვილი, 1981 წლის სამეცნიერო საკვლევ თემა „კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება-დაკრედიტების ფორმების და მეთოდების სრულყოფის საკითხები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დარგებში“, გვ. 76. ეკონომიკისა და საპროდუქციის ინსტიტუტის საარქივო ფონდი.



ჭირნეობის რეჟიმს. იმისათვის, რომ სახელმწიკრულებო დისციპლინის ყოველი დარღვევა გახდეს მკაცრი მსჯელობის საგანი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მშენბანკის დაწესებულებების პარალელურად დაევალოთ არამარტო სახბანკის დაწესებულებებს, არამედ პროკურატურის, სახლო კონტროლის ორგანოებს და ფინანსთა სამინისტროსაც ყურადღება გაამახვილონ ამ კუთხით და დარღვევის შემთხვევაში დაავალდებულონ დაზარალებული მხარე დაუყოვნებლივ დასვას არბიტრაჟში საკითხი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით ალძრან არბიტრაჟში სარჩელი დაზარალებული მხარის სასარგებლოდ. ამ ღონისძიების გატარებით უთუოდ წესრიგი დამყარდება როგორც მოიჯარადრესა და დამკვეთს შორის არსებული ხელმწიკრულების, ასევე მიმწოდებელსა და მყიდველ, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებელ და მგეგმავ ორგანიზაციებს შორის გაფორმებულ ხელმწიკრულებათა დაცვის საქმეშიც.

„შრომითი დისციპლინის როლის გაძლიერება წარმოების თანამედროვე მასშტაბების პირობებში, დაკავშრებულია სამუშაო დროის ეკონომისთან. სამუშაო დროის თუნდაც ერთი წუთის დაკარგვა მთელი ქვეყნის მასშტაბით ორასი ათასი მუშის დღიური შრომის შედეგის ტოლია. საქართველოს სსრ მრეწველობაში 1982 წელს ერთ სამუშაო წუთში იწარმოებოდა 90 ათასი მანეთის მთლიანი სამრეწველო პროდუქცია, ერთ სამუშაო საათში — 5,4 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო ერთ სამუშაო დღეში — 43 მილიონი მანეთის პროდუქცია“⁹.

ისმის კითხვა, რა საშუალებებით უზრუნველყოთ შრომის დისციპლინის სასურველი დონე?

როგორც თ. ლილუაშვილი თავის ბროშურაში („შრომის დისციპლინა“) აღნიშნავს, „მეცნიერულ ლიტერატურასა და პრესის ფურცლებზე ხშირად გამოთქვამენ მოსაზრებას შრომის დისციპლინის დარღვევებისათვის გაგვიძლიერებინა კანონით გათვალისწინებული სანქციები, ესე იგი შემოგველო უფრო მკაცრი და უფრო ეფექტური ზომები და სხვ“¹⁰.

დისციპლინის შემდგომი განმტკიცება და ახალი შესაბამისი სანქციების გამოძებნის მიზანშეწონილობა პროფესორ ლილუაშვილს სწორად მიაჩნია, მაგრამ მაინც სამართლიანად გვაფრთხილებს, რომ სანქციების ზედმეტმა ძიებამ არ უნდა გავვიტაცოს, რათა არ შევასუსტოთ ყურადღება იმ ეკონომიკურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე, რომლებსაც მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში¹¹.

ჩვენის აზრით, შრომის შინაგანაწესში ჩამოთვლილი წამახლისებელი ფორმები, მართალია გარკვეულ დღეებით გავლენას ახდენს შრომის დისციპლინის საერთოდ განმტკიცებაზე, მაგრამ ისეთი სენის თავიდან ასაცილებლად, როგორც კადრების დენადობა, არა გვეონია, საკმარისი იყოს. ყველა ეს ფორმა ერთჯერადია და გარკვეულ საფუძვლიან მომენტშია გამოსაყენებელი. ხოლო, რაც შეეხება წელთა დამსახურების დანამატის შემოღებას

⁹ ა. პატარაძე „შრომის დისციპლინის განმტკიცება — ეკონომიკური პოტენცილის ზრდის მნიშვნელოვანი ბერკეტი“, ჟურნალი „ეკონომისტი“, 1983 წლის №9, გვ. 62.

¹⁰ თ. ლილუაშვილი „შრომის დისციპლინა“, „მეცნიერება“, 1977 წელი, გვ. 14.

¹¹ იქვე.

საწარმოებისა და დაწესებულებებში, წარმოებრივი სფერო იქნება ეს თუ არაწარმოებრივი, ვფიქრობთ უდიდეს ზეგავლენას მოახდენს სამუშაო ადგილზე მუშაკთა დამაგრებაში. ამ შემთხვევაში მუშაკმა იცის, რომ ყოველი გარკვეული ვადის გავლის შემდეგ მას ხელფასთან ერთად ეძლევა წელთა დამსახურების დანამატი ნაზარდი სახით. ეს უფრო წაახალისებს, რადგან მის მიერ წელთა დამსახურების დანამატის ჩათვლით მიღებული ხელფასი ბევრად აღემატება არა მარტო იმ მუშაკის ხელფასს, რომელსაც მისი თანაბარი თანამდებობა უკავია, არამედ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზოგი მუშაკი შეიძლება რანგით და თანამდებობით მასზე მეტიც იყოს, მაგრამ ამ უკანასკნელს წელთა დამსახურება აკლდეს და ხელფასის დანამატის მიღების საფუძველი ჯერ არ გააჩნდეს. ეს გარემოება უთუოდ ყველა მუშაკში აღძრავს სურვილს, სამუშაო სტაჟი გაზარდოს ერთ წარმოებასა თუ დაწესებულებაში და აღარ შეეცდება ეძიოს ახალი სამუშაო.

ყოველივე ამის ცხოვრებაში განხორციელება აამაღლებს წარმოების განვითარების დონეს და გავრდის შრომის ნაყოფიერებას, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტი დროთა განმავლობაში კვლავ აღიდგენს და შეივსებს ხარჯების იმ ნაწილს, რასაც გამოიწვევს საწარმოო დაწესებულებებში წელთა დამსახურების დანამატის (ხელფასთან ერთად) გაცემა.

აშკარა და ცხადი გახდა, რომ უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შეუწელებელი ბრძოლა ეკონომიკის ეფექტიანობის მთავარი მაჩვენებლის — შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის. ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე შრომის ნაყოფიერების გადიდება, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, დამოკიდებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე.

1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა თქვა, რომ „ჩვენ დიდი რეზერვები გვაქვს სახალხო მეურნეობაში. მთელი ეს რეზერვები უნდა ვეძიოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების და მოწინავე გამოცდილების ფართო და სწრაფ დანერგვაში. რა თქმა უნდა, ეს არ არის ახალი საკითხი. იგი არაერთგზის აღგვიძრავს პარტიის ყრილობებსა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე და მაინც საქმეს საშველი არ ადგება. რატომ? პასუხიც კარგა ხანია ცნობილია; ახალი მეთოდის, ახალი ტექნიკის დასანერგად საჭიროა წარმოების ასე თუ ისე რეორგანიზაცია, ეს კი დაღს ასვამს გეგმის შესრულებას. მით უმეტეს, რომ წარმოების გეგმის ჩაშლისათვის პასუხს ვთხოვენ, ახალი ტექნიკის სუსტი დანერგვისათვის კი დიდი-დიდი დაგტუქსონ“.

ისიც კი შეგვახსენა, რომ მეცნიერებისა და წარმოების შეერთებას ხელს უნდა უწყობდეს დაგეგმვის და მატერიალური სტიმულირების მეთოდები. ისინი ვინც უკან არ იხევენ ახალი ტექნიკის დანერგვისას, წამგებიან მდგომარეობაში არ უნდა აღმოჩნდნენ. ამხ. ი. ვ. ანდროპოვის ასეთი მოთხოვნა ნიშნავს, ჩვენის აზრით, რომ ჯერ პირობები შევუქმნათ იმ საწარმოებს და ორგანიზაციებს, რომლებსთვისაც გამზადდა ტექნიკური კომპლექსი დასანერგად, დროულად ჩაუერთოთ გეგმაში, ამასთან დროულად შევეუდგინოთ საპროექტო ტექნიკური სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დასაფინანსებლად, გახსნას შესაბამისი ბანკის დაწესებულებაში ანგარიში, დაიწყოს სამუშაოს შესრულება და სახსრების ათვისების პროცესი. ამასთან, საფინანსო და საკრედიტო დაწესებულებებმა სახალხო კონტროლის ორგანოებთან ერთად სამეცნიერო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ახალი ტექნიკის

დანერგვის შესახებ საქმის მსვლელობა უნდა დაეალონ იმ საწარმოო ორგანიზაციებს, რომლებსაც გათვალისწინებულია მისი დანერგვა და იმ შემთხვევაში, თუ ეს საწარმოო ორგანიზაციები ხელოვნურად გააჰიანურებენ ან სრულიად უარს განაცხადებენ დანერგვის სამუშაოს შესრულებაზე, დასვან საკითხი რეაგირებისათვის მათ ზემდგომი ორგანიზაციის წინაშე და მოეთხოვოთ მათ პასუხი ასეთის შეუსრულებლობაზე არანაკლებ გეგმის შეუსრულებლობისა.

ამგვრად რესპუბლიკის მშრომელები დარაზმულნი არიან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

შრომის ნაყოფიერების ზრდა დამოკიდებულია აგრეთვე სამუშაო დროის დანაკარგებთან ეფექტურ ბრძოლაზე, რომელსაც არა ერთი სტატია თუ წერილი მიუძღვნა ჩვენი რესპუბლიკის პრესის ორგანოებმა. დროულად ასახეს და გააშუქეს დიდი შემოქმედებითი მუშაობა და ძვრები, რაც დამატებით გატარდა რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის და 1983 წლის ივნისის პლენუმების მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შუქზე. წინამდებარე შრომაში მიზანშეწონილად ჩავთვალეთ გამოვხმაურებოდით ერთ-ერთ მათგანს, სახელდობრ თ. დონჯაშვილის მეტად საყურადღებო სტატიას სათაურით „განუხრელად დაეცვათ კანონი მოკლევადიანი უხელფასო შევებულების დროს“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ 1983 წლის პირველ ნომერში. აქ კონკრეტული ფაქტების მოშველებით ნაჩვენებია თუ რა დიდ ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას ზოგიერთ საწარმოო დაწესებულებათა ადმინისტრაციის მიერ ამ მხრივ შრომის კანონმდებლობათა დარღვევები.

აეტორი სამართლიანად შენიშნავს იმასაც, რომ ადმინისტრაციის ნებართვით სამუშაოზე გამოუცხადებლობა, უმეტესად, გაუმართლებელი მიზეზებით არის გამოწვეული. ასე მაგალითად, არც თუ ისე იშვიათად, საწარმოს ურიტმო მუშაობის გამო, ადმინისტრაცია თვითონ სთავაზობს მუშას აიღოს უხელფასო შევებულება. ზოგჯერ ნებას რთავს სამუშაო წერილობითი განცხადების გარეშე, სათანადო ბრძანების გაუფორმებლად გააცდინოს.

ამის გამო, საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტმა თავის 1980 წლის სამი ოქტომბრის განმარტებაში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უხელფასო შევებულება უნდა გაფორმდეს გაერთიანების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან საწარმოო ერთეულის ადმინისტრაციის ბრძანებით (განკარგულებით). ამასთან, სავალდებულოა მასში აღნიშნული იყოს შევებულების გაცემის ზუსტი აღრიცხვა და მუშაკის პირად ბარათში შეტანილ იქნეს შესაბამისი ჩანაწერები¹².

აეტორი სწორად აღნიშნავს, რომ დაუშვებელია მოკლევადიანი შევებულება აღმატებოდეს კანონით დადგენილ ყოველწლიური შევებულების ხანგრძლივობას. შრომის კანონმდებლობის მიხედვით კი, კერძოდ, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების 33-ე მუხლით, ეს შევებულება 15 სამუშაო დღეს ითვალისწინებს.

პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელობა წლის განმავლობაში არაერთხელ აძლევს მუშაკს უხელ-

¹² ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1983 წლის №1, გვ. 37.

ფასო შვებულებას და ამასთან, იმაზე მეტი ხნით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონით.

დღემდე, რატომღაც, რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 74 მუხლში, სადაც სწორედ მოკლევადიან უხელფასო შვებულებით სარგებლობის უფლებაზეა ლაპარაკი, არ არის ვადა მითითებული და ეს ნაკლი ნაწილობრივ ამითაც უნდა აიხსნას, ამდენად, საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 74 მუხლში (საფუძვლების 35-ე მუხლი) საჭიროა შეტანილ იქნეს ცვლილება იმის თაობაზე, რომ მოკლევადიანი უხელფასო შვებულების ხანგრძლივობა წლის განმავლობაში შემცირდეს 4 დღით და არ აღემატებოდეს 10 დღეს.

ინტერესმოკლებული არ იქნება, ამჯერად უკვე უშუალოდ ჩვენი მონაკვლევითი სტატისტიკური მასალებისა და ცხრილების საფუძველზე, გაგვეჩილა და გაგვეანალიზებინა სამუშაო დროის დანაკარგები, რისთვისაც მოგვეყვას ციფრობრივი მაჩვენებლები (იხ. ცხრილი № 1).

ცხრილი № 1

სამუშაო დროის (კაცდღებში) დანაკარგების დინამიკა საქართველოს სსრ მრეწველობაში¹³
(ათასებში)

წლები	მთლიანად სამუშაო დროის და- ნაკარგები	მათ შორის			შედევებთან %№-ში		
		გამოუცხა- დებლობით გაცდენები	მთელი დღის და შიდაცდვის გაცდენებით	გამოუცხა- დებლობა აღმინისტ. ნებართვით	გამოუცხ. გაცდენები	მთელი დღის და შიდაცვ. გაცდენები	გამოუცხ. აღმინისტ. ნებართვით
1977	960,6	292,5	223,5	444,6	30,4	23,3	46,3
1980	842,2	232,9	266,9	342,4	27,7	31,7	40,6
1981	853,2	232,9	291,7	348,6	27,3	34,2	38,5
1982	810,2	208,5	292,8	308,9	25,7	36,2	38,2

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, მთლიანად სამუშაო დროის დანაკარგებმა, რესპუბლიკის მრეწველობაში 1977—1982 წლებში, საგრძნობლად იკლო. თუ 1977 წელს იგი შეადგენდა 960,6 ათას კაცდღეს. 1982 წელს შეადგინა 810,2 ათასი, ე. ი. 150,4 ათასი კაცდღით ნაკლები. ამასთან, მოცემულმა ცხრილმა ნათლად გვიჩვენა, თუ რაოდენ სჭარბობს ადმინისტრაციის ნებართვით გამოუცხადებლობის ხვედრითი წილი სამუშაო დროის დანაკარგებში. მაგალითად, ისე როგორც 1977, ასევე 1982 წელს სამუშაო დროის დანაკარგებში ადმინისტრაციის ნებართვით გამოწვეულმა დანაკარგებმა გადააჭარბა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოო ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის, ანუ ადმინისტრაციის ყურადღება უნდა გავამახვილოთ შრომის სწორი ორგანიზაციის საკითხებზე, საერთოდ შრომის კანონმდებლობის და განსაკუთრებით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, უხელფასო შვებულებათა გაცემის წესების მკაცრად დაცვაზე. მეტად უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა შრომით კოლექტივებში შინაგანაწესის და შრომითი დისციპლინის განმტკიცებისათვის, რათა მაქსიმალურად აღმოიფხვრას გამოუცხადებლობითა

¹³ საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მასალები.



თუ მთელი ღღის ან შიდაცვლის გაცდენების შედეგად გამოწვეული სამუშაო ღროის დანაკარგები.

როგორც № 1 და № 2 ცხრილიდან ჩანს, მართალია 1982 წელს, 1977 წელთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა სამუშაო ღროის მთლიანი დანაკარგები, მაგრამ ზოგიერთ სახეობაში რატომღაც გაიზარდა. ასე მაგალითად, სატყეო მრეწველობის ხაზით მთელი ღღის და შიდაცვლის გაცდენებით სა-

ცხრილი № 2

სამუშაო ღროის დანაკარგები (კაცდღების მიხედვით) მრეწველობის ზოგიერთ ღარგებში
1977 წლის ვანგელობაში¹⁴

ღარგების ღასახეღება	მთლიანღ შაო ღროის ნაკარგები	მათ შორის				შეღგებთან %%-ში		
		გამოღუღბღ, გაცღენები	მთელი ღღის და შიდაცვ- გაცღენები	გამოღუღბღ. აღმინიღტ. ნეზარაფ.	გამოღუღბღ. გაცღენები	მთელი ღღის და შიდაცვ- ღლის გაცღენები	გამოღუღბღ. აღმინიღტ. ნეზარაფით	
მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა								
1. სატყეო	13507	4073	1872	7562	30,1	19,9	56,0	
2. საშეშენებლო მასღ.	59401	31274	16014	12113	52,6	27,0	29,4	
3. მსღუბღუღი	306174	110359	77793	118022	36,0	25,4	38,6	
4. კვეღის	110769	16191	31873	62705	14,6	28,8	56,6	
5. ზორღისა და რძის	—	—	—	—	—	—	—	
6. ჩაის	—	—	—	—	—	—	—	
7. ღვინის	—	—	—	—	—	—	—	
8. აღღეღობრღიღი	—	—	—	—	—	—	—	

ცხრილი № 3

სამუშაო ღროის დანაკარგები (კაცდღების მიხედვით) მრეწველობის ზოგიერთ
ცალკეულ ღარგებში 1982 წელს

ღარგათა ღასახეღება	მთლიანღ შაო ღროის ნაკარგები	მათ შორის			შეღგებთან %%-ში		
		გამოღუღბღ, გაცღენები	მთელი ღღის და შიდაცვ- გაცღენ.	გამოღუღბღ. აღმინიღტარ- ღის ნეზარა- ფით	გამოღუღბღ. გაცღენები	მთელი ღღის და შიდაცვ- გაცღენები	გამოღუღბღ. აღმინიღტ. ნეზარაფით
მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა							
1. სატყეო	11424	2500	4015	4819	22,7	35,2	42,1
2. საშეშენებ. მას.	34134	16850	9879	7405			
3. მსღუბღუღი	224624	50032	118893	55699	22,3	52,9	24,8
4. კვეღის	51653	16044	17570	18039	31,0	34,1	34,0
5. ზორღისა და რძის	13155	3305	2885	6965	25,2	21,9	52,9
6. ჩაის	13542	4175	1364	8003	30,8	10,1	59,1
8. ღვინის	43722	35322	2771	5629	81,0	6,3	12,7
7. აღღეღობრღიღი	74725	7592	48307	18825	10,2	64,6	25,2

¹⁴ შენიშვნა: სტატისტიკურ სამმართველოს № 977 წლისათვის აღნიშნულ № 2 ცხრილში ჩამოთვლილი 8 დარგადან მხოლოდ 4 დარგის მიმართ გააჩნდა ციფრობრღიღი მაჩვენებღები, რამღენადღაც იმ ღროისათვის ზორღის და რძის, ჩაის, ღვინის და აღღეღობრღიღი მრეწველობის ღარგებში ცალკე არ იყო გამოყოფიღი.

მუშაო დროის დანაკარგებმა 1977 წელს 1872 კაცდღე შეადგინა, ანუ 13,9 % ხოლო 1982 წელში — 4015 კაცდღე, ანუ 35,2 %. ანალოგიური მდგომარეობაა მსუბუქი მრეწველობის დარგშიც. მთელი დღის და შიდაცვლის გაცდენის შედეგად გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგები 1977 წელში შეადგენდა 77793 კაცდღეს, ანუ 25,4 %-ს, 1982 წელში კი — 118893, ანუ 52,9 %. სამაგიეროდ, ორივე დარგში საგრძნობი შემცირება მოხდა ადმინისტრაციის ნებართვით გამოუცხადებლობის შედეგად გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგებში, მაგალითად, თუ 1977 წელს სატყეო მრეწველობაში აღნიშნული მიზეზით 7562 კაცდღეს შეადგენს, ანუ 56 %-ს, 1982 წელს 4819 ანუ 42,2 % შეადგინა. შესაბამისად, მსუბუქ მრეწველობაში 1977 წელს იყო — 118022 ანუ 38,6 % და 1982 წელს — 55699 კაცდღე, ანუ 24,8 %. ასეთი ანალიზი საშუალებას იძლევა მივემზადოთ თუ რომელ სფეროში რა სახის ღონისძიება დავსახოთ და რა დროით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია გავისვენოთ საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის ამხანაგ რ. ბასარიას საგაზეთო სტატიაში მოყვანილი ანალიზი: „თუ მაგალითად, მსუბუქი, კვების და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროების სისტემებში დროის დანაკარგებს შევამცირებთ საშუალო დარგობრივ დონემდე, ეს თანაბარმნიშვნელოვანი იქნებოდა იმისა, რომ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში გამოგვევლინა 11 მილიონი მანეთის პროდუქციის მოცულობის ზრდის დამატებითი რეზერვები, კვების მრეწველობის სამინისტროში — 4, ხოლო საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროში — მილიონი მანეთის რეზერვები“¹⁵.

ცხრილი № 4

სამუშაო დროის დანაკარგებით გამოწვეული ზარალი საქართველოს სსრ მრეწველობის ზოგიერთი დარგის მიხედვით 1982 წელს

დარგთა დასახელება	მთლიანი პროდუქცია ათას მანეთობით	სულ გამოშვებული კაცდღეები	ერთ კაცზე მიღებული პროდუქცია მანეთებ.	კაცდღეების დანაკარგი	მთლიანი პროდუქციის დანაკარგები ათას მანეთობით
1. სატყეო	152508	1956548	77,9	11424	889,9
2. სამშენებლო მასალების	154299	2363897	65,3	34139	2228,9
3. მსუბუქი	1173943	14239938	122,0	224624	27414,7
4. კვების	579975	4150826	139,5	51653	7205,6
5. ხორცის და რძის	306077	1213663	252,2	13155	3317,7
6. ჩაის	1076683	1875560	574,0	13542	7773,1
7. ღვინის	1545000	1302028	812,3	43722	35515,4
8. ადგილობრივი	362206	4862262	74,5	74725	5567,0

მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ მასში ჩამოთვლილი 8 დარგიდან 1982 წელში სამუშაო დროის დანაკარგებით გამოწვეული ყველაზე მეტი ზარალი განიცადა ღვინის მრეწველობის დარგმა, შემდეგ — მსუბუქი მრეწველობის. ამას მოჰყვება ჩაის მრეწველობა, ადგილობრივი მრეწველობა და ა. შ. საყოველთაოდ ცნობილი ვახდა, რომ შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია აგრეთვე შრომის ორგანიზაციის ბრიგადულ ფორმას და მოსახლეობის მომსახურების სფეროს საწარ-



მოთა და ორგანიზაციათა მუშაობის რეჟიმის გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარე, მეტად საგულისხმოა როგორ დგას ეს საკითხი ზემოხსენებული მრეწველობის დარგებში, სადაც შრომის დროის დანაკარგებით გამოწვეული ზარალი განსაკუთრებით დიდია, რა რაოდენობითაა შექმნილი კომპლექსური ბრიგადები და მუშაკთა რა რაოდენობაა მასში დასაქმებული როგორც ვიცით, ბრიგადულ კოლექტივში მუშაობა ხელს უწყობს თითოეული მუშაკის კოლექტიურ დაოსტატებას, უზრუნველყოფს მათს მონაცვლეობას ცალკეულ სამუშაო უბანზე, ზრდის თითოეული მათგანი პასუხისმგებლობას და ამცირებს სამუშაო დროის დანაკარგებს. რაც შეეხება მომსახურების სფეროს მუშაობას, მართალია შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრგან ისევ ძველი გრაფიკებით მიმდინარეობს და მათს ტერიტორიაზე განლაგებულ სამუშაო საწარმოთა მუშაკებს არ ძალუძთ ისარგებლონ სათანადო საყოფაცხოვრებო მომსახურებით, რადგან ამ სფეროთა სამუშაო საათები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1. სამუშაოზე მიღებისას, სხვა საჭირო საბუთებთან ერთად (რაც გათვალისწინებულია მოქმედი შრომის კანონთა კოდექსით), მოქალაქეს მოეთხოვოს დახასიათება წინა სამუშაო ადგილიდან, იმ შემთხვევაში თუ იგი პირველად იწყებს სამსახურს — სახლმმართველობიდან, ხოლო თუ სწავლობს — სასწავლებლიდან და ა. შ. ვეფქრობთ ასეთი მოთხოვნა კიდევ მეტად გაზრდის მუშაკის პასუხისმგებლობას და აღიკვეთება ან მინიმუმამდე დავა მუშაკის ინიციატივით სამუშაოს გამოცვლა იოლი ადგილის შოვნის მიზნით.

2. კადრების დენადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, დღეისათვის არსებული რიგი ღონისძიებების პერალელურად, საწარმოო ორგანიზაციის მიერ მუშაკზე გაცემული საუწყებო საცხოვრებელი ბინა უნდა ექვემდებარებოდეს ჩამორთმევას სამაგიერო ბინის მიუცემლად იმ შემთხვევაში თუ მუშაკი პირადი განცხადებით მიატოვებს სამუშაოს ბინის მიღებიდან იმ ვადაზე ადრე, რაც მას საწარმომ ან ორგანიზაციამ განუსაზღვრა.

3. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის (1982 წლის ნოემბერი) გადაწყვეტილებათა საფუძველზე შრომის, საგემო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისა და საერთოდ ნაკისრ ვალდებულებათა დროულად და ხარისხოვნად შესრულების მიზნით, სსრ კავშირის შინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის და სსრ კავშირის მშენბანკის გამგეობის ერთობლივი წერილით 1974 წლის ოქტომბერში მიღებული დავალება, რომ როდესაც შემკვეთები და მოიჯარე ორგანიზაციები ურთიერთის მიმართ ლიბერალობას იჩენენ და არ აღძრავენ სარჩელს არბიტრაჟში ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დარღვევის გამო, ამ შემთხვევაში სარჩელის აღძვრა უნდა იკისრონ მშენბანკის დაწესებულებებმა, ფართო მასშტაბით გატარდეს და სსრკ შინისტრთა საბჭომ ასეთივე ამოცანა დაუსახოს სახბანკის, პროკურატურის, სახალხო კონტროლის და ფინანსთა სამინისტროს ორგანოებსა და სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში დაავალდებულოს ისინი თვით აღძრან სარჩელი არბიტრაჟში დაზარალებულის სასარგებლოდ, უკეთეს ეს უკანასკნელი პასიურობასა და უმოქმედობას იჩენენ მოპასუხე მხარის მიმართ.

4. სასურველია შემოღებულ იქნას და დაკანონდეს ყველა საწარმოო ორგანიზაციასა და დაწესებულებებში წელთა დამსახურების დანამატი და მათი

ყოველთვიური გაცემა მოხდეს ხელფასთან ერთად. ასეთი ღონისძიება უხათუოდ უდიდეს ზეგავლენას მოახდენს მუშაკთა სამუშაო ადგილზე დამაგრებაში და უფრო წაახალისებს სამუშაოს დროულად და ხარისხიანად შესრულებაში.

5. ეთხოვოს საფინანსო და საკრედიტო ორგანოებს იმ სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად, რომლებმაც წარუდგინეს შესაბამის საწარმოო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სათანადოდ გაფორმებული ტექნიკური დანერგვის პროექტი, მიგრამ უსაფუძვლოდ უარი განაცხადეს ან ხელოვნურად დიდი ხნით გააჭიანურეს მისი დანერგვა, საკითხი აღძრან ზემდგომ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში და პასუხი აგებინონ ამ საწარმოო ორგანიზაციათა ხელმძღვანელობას ახალი ტექნიკის არ დანერგვისათვის ისევე, როგორც გეგმის შეუსრულებლობისათვის.

6. მოქმედ შრომის კანონთა კოდექსის 74 მუხლში კარგი იქნებოდა მომხდარიყო ცვლილება იმის თაობაზე, რომ ზუსტად განისაზღვროს უხელფასო შევებულების ვადა (რადგან ასეთი ნაჩვენებია მხოლოდ საფუძვლებში და კოდექსში კი არ არის მოცემული) და ამასთან მისი ხანგრძლივობა, ნაცვლად პრაქტიკაში არსებული ორი კვირისა, არ აღემატებოდეს 10 დღეს. ამ ღონისძიების გატარებით სამუშაო დროის დანაკარგები მრეწველობაში შემცირებოდა თითქმის ერთი მესამედით.

М. И. РОКЕТЛИШВИЛИ

УСТРАНЕНИЕ ПОТЕРЬ РАБОЧЕГО ВРЕМЕНИ— ОДНО ИЗ УСЛОВИЙ ПОВЫШЕНИЯ ЭФФЕКТИВНОСТИ ПРОИЗВОДСТВА

Резюме

На основании исследованных материалов рассчитаны потери рабочих дней в человеко-днях и вызванный ими ущерб в денежном выражении. Установлено, что в потере рабочих дней наибольший удельный вес приходится на человеко-дни, пропущенные с разрешения администрации, и сделан вывод о том, какие мероприятия необходимо проводить на этом участке организации работы.

Освещены факты нарушения государственной, трудовой, договорной и плановой дисциплины и причины их возникновения, намечены пути их устранения.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

დავით ქოქოსაძე

საშენ მასალათა დაზოგადების რესურსდაზოგველი ტექნოლოგიის მოღვაწეობის უპირატესი მეთოდი

საშენ მასალათა წარმოების დანახარჯების სტრუქტურაში ნედლეული, მასალა, საწვავი, თბო და ელექტროენერგია ჯამში 50 %-ზე მეტს შეადგენს. პროდუქციის 1 %-ით შემცირება საშუალებას გვაძლევს გაკეთდეს 100 მლნ. მანეთზე მეტი ეკონომია. ამ მხრივ, ეკონომიის ძირითად რეზერვს წარმოადგენს წარმოების ნარჩენების გამოყენება.

ამჟამად, ქვეყნის სახალხო მეურნეობაში, კერძოდ საშენი მასალების წარმოებაში, სხვადასხვა სახის შემკვრელების კერამიკული ნაკეთობების, ფოროვანი შემავსებლების და სხვა მასალების წარმოებისათვის დიდი ეკონომიკური ეფექტით გამოიყენება სხვა დარგების ნარჩენები, როგორცაა ბრძმედის წილა, თბოელექტროსადგურის ნაცარი, ნახშირგამდიდრების ნარჩენი და სხვა. რამდენიმე წელია მიმდინარეობს ძიება კავკასიის სამთო-გადამამუშავებელი წარმოების მრავალტონიანი ნარჩენების გამოსაყენებლად. დადგენილია, რომ ეს ნარჩენები („კუდები“) შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული საშენი მასალების მრეწველობაში, მინის წარმოებასა და საგზაო მშენებლობაში.

არსებობს ძიებათა გარკვეული რიცხვი, რომელიც ეხება ნარჩენი „კუდების“ არსებობის და მისი გადამამუშავების ტექნოლოგიას. მეცნიერულ ლიტერატურაში მოცემულია საშენი მასალების მიღების ცალკეული მეთოდების ტექნოლოგიური პროცესების ღრმა ანალიზი, ერთის მხრივ, და მათი ექსპლუატაციის პარამეტრები, მეორეს მხრივ. ამასთან, ეს გამოკვლევები ზერჯერობით მჭიდრო კავშირში არ არიან, რაც აფერხებს კონკრეტული სამთო გადამამუშავებელი წარმოების ნარჩენების გადამამუშავების ოპტიმალური ტექნოლოგიური სქემის შერჩევას, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტული თვისებების მქონე სამშენებლო პროდუქციის დამზადებაზე ძირითადი კონსტრუქციული თვისებებით. გარდა ამისა, ოპტიმალური ამოცანის გადასაწყვეტად დიდი ყურადღება ეთმობა წარმოების ტექნოლოგიური სქემის ორიენტაციას, რათა მაქსიმალურად დაიზოგოს ლიმიტირებული მასალები, როგორცაა: ელექტროენერგია, დეფიციტური და ძვირად ღირებული მასალები, შრომითი დანახარჯები და სხვა.

ამოვიჩინოთ ოპტიმალური ტექნოლოგია წარმოქმნილი ნარჩენი „კუდების“ გადასამამუშავებლად და წარმოვიდგინოთ ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენებული ყველა შესაძლო ტექნოლოგიისა და კომპონენტთა სიმრავლე მატრიცული სახით¹:

¹ Антанавич юс К. А. Моделирование и оптимизация в управлении строительством, М., Стройиздат, 1979.

$$X = \begin{pmatrix} X_{11}, X_{12}, \dots, X_{1n} \\ X_{m1}, X_{m2}, \dots, X_{mn} \end{pmatrix}$$

სადაც m ტექნოლოგიის რიცხვი, n კი-რესურსთა კომპონენტის გადამუშავების პროცესის მაქსიმალური რიცხვი.

აქედან გამომდინარე, სტრიქონის ვექტორი $X_i = (X_{i1}, \dots, X_{ij}, \dots, X_{in})$ ახასიათებს i — ტექნოლოგიას, სადაც კომპონენტები $j(j=1 \div n)$ შედიან X_{ij} შემადგენლობაში.

ფიქსირებულ სტრიქონში X_i შეიძლება მივიღოთ ისეთი მასალა, რომელსაც ექნება მკაცრად ფიქსირებული თვისებები.

ცხადია მაშინ მატრიცა X შეიძლება დავსვათ P მატრიცასთან, რომელიც აღწერს კონკრეტულ მასალათა გამოყენების ვარიანტების სიმრავლეს:

$$P = \begin{pmatrix} P_{11}, P_{12}, \dots, P_{1k}, C_1 \\ P_{m1}, P_{m2}, \dots, P_{mk}, C_m \end{pmatrix}$$

სადაც k — სხვადასხვა თვისებათა რიცხვია, რომელიც მიღებულ მასალას გააჩნია. ე. ი. P_j სვეტი ახასიათებს რიცხობრივ მნიშვნელობას (მაგალითად: წყალმედვეობა, მჟავამედვეობა, სიმტკიცე და სხვა). ასე მაგალითად, ვ. მ. მოსკვინის გამოკვლევების თანახმად² სვეტი მჟავამედვეობის მიხედვით შეიძლება წარმოვიგინოთ შემდეგი სახით:

შ ე მ კ ვ რ ე ლ ი	P_1	P_2
პორტლანდცემენტი	1	1
ბუცოლანური პორტლანდცემენტი	1	0,94
თიხამიწოვანი ცემენტი	0,81	0,68
მჟავაგამძლე ცემენტი/თხევად მინასთან		
15% Na_2SiF_6 — ის დამატებით/	0,22	0,08

სადაც P_1 საშუალო ფარდობითი კოროზიის სიჩქარეა HCl -ის სუსტ ხსნარში და P_2 — შესატყვისი მაჩვენებელი H_2SO_4 -ის სუსტ ხსნარში. $P_i = (P_{i1}, \dots, P_{ik}, C_i)$ სტრიქონი იძლევა i -ური ტექნოლოგიით მიღებული მასალის თვისებების მნიშვნელობას (ზოგად შემთხვევაში P_{ij} მნიშვნელობათა ინტერვალა). მაჩვენებელი C_i მიუთითებს i -ურ ტექნოლოგიის ათვისებაზე და წარმოებაზე გაწეულ ღირებულებების დანახარჯებს.

თუ $a_i (i = 1 \div n)$ ვექტორ-სვეტით აღვნიშნავთ ერთეული რესურსის ღირებულებას, რომელიც ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიურ სქემაში კომპონენტების სახით შედის, მაშინ,

$$C_i = X_i \cdot a_i$$

სამთავრამადიდრებელი კომბინატის ნარჩენების გადამუშავების განზოგადებული სქემა (მაგ., მჟავაგამძლე ბეტონის მისაღებად) შეიძლება წარმო-

² Москвин В. М., Иванов Ф. М. и др. Коррозия бетона и железобетона, методы их защиты. М., Стройиздат, 1980

ვიდგნოთ როგორც ოპერაციათა თანმიმდევრობა, რომელიც შედგება კაჟმიწის შემცველი ნარჩენებისა და ნატრიუმფტორის სილიკატის მშრალი ნარევის თხევად მინასთან არევის პროცესისაგან. ტექნოლოგიური სქემა სრულდება კაპილარფოროვანი მასალის გიდროფობიზირებული შემადგენლობით (პარაფინით, ნავთობით, ასფალტით, ბითუმიტ, გოგირდით და ა. შ.) დამატებითი გაჟღენთვით, რომელიც ხორციელდება გაჟღენთვის დიფენიური, კონდენსატური, ჰიდროთერმული მეთოდებით.

ნარჩენებისაგან დამზადებული მუავემდგრადი ბეტონის დამზადების ტექნოლოგიის შესაძლო სიმრავლე ხასიათდება მატრიცით, რომლის ვექტორ-სვეტში ივლისსხმება: თხევადი მინის, ნატრიუმფტორის სილიკატის, გასაჟღენთი შემადგენლობის, ელექტროენერჯისა და სხვა ელექტრორესურსების რაოდენობრივი დანახარჯები.

დავუშვათ, მოცემულია საშენი მასალის გამოყენების ობიექტების სიმრავლე, რომელიც მიიღება $X_i (i=1, \bar{m})$ ტექნოლოგიით.

კონკრეტული ობიექტი $l \in L$ (მაგალითად, ცხაურები მეცხოველეობის ფერმებში) შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სახის ვექტორით:

$${}^{\circ}P_l = {}^{\circ}P_{1l}, \dots, {}^{\circ}P_{kl}, {}^{\circ}r_l, {}^{\circ}P_l'$$

სადაც ${}^{\circ}P_{1l}, \dots, {}^{\circ}P_{kl}$ არის ამჟამად გამოყენებულ მასალათა სახეობების $1, \dots, k$, თვისებათა მნიშვნელობა l ობიექტზე,

${}^{\circ}r_l$ — მასალათა ხარჯები ღირებულების სახით, რომელიც გამოიყენება l მოცემულ ობიექტზე, ამასთან განსაზღვრავს მის ფუნქციას (სატრანსპორტო ხარჯების ჩათვლით ${}^{\circ}P_l$ — ტრანსპორტზე გაღებული ხარჯები, იმ შემთხვევაში, როდესაც ამ წარმოებაში იცვლება ადრე გამოყენებული ტექნოლოგია სხვა X ტექნოლოგიაზე.

ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნეს წარმოების ოპტიმალური ტექნოლოგიური სიმრავლის განსაზღვრის მეთოდი L ობიექტისათვის რესურსების დაზოგვის მიზნით.

ყოველ l ობიექტისათვის გამოვყოფთ მრავალ მნიშვნელობას, რომელიც აუცილებელია მისი შემდგომი ფუნქციონირებისათვის, ე. ი. ერთი იმ მოცემული A_l თვისებიდან თუნდაც ერთი რომ შემციირდეს, მაშინ l ობიექტის ფუნქცია დაირღვევა.

მიღებულ ვექტორს მივცეთ შემდეგი სახე:

$$P_l = (P'_{1l}, \dots, P'_{kl}, r_l, P_l')$$

სადაც $j \in A_l$ მაშინ P'_{jl} როდესაც მისი მნიშვნელობა (ინტერვალის ქვედა ზღვარი მისი არსებობის დროს) არ იქნება შემციირებული.

მაშასადამე, რკინა-ბეტონისაგან დამზადებული ცხაურებისათვის პარამეტრების რიცხვში, რომელიც დამზადდება მუავეგამძლე ბეტონის საფუძველზე, შედის მუავეგამძლეობის თვისება HCl -თან და H_2SO_4 -თან შეფარდებით, სიმტკიცის ზღვარი და სხვა.

მიღებული კონსტიტუციის დამახასიათებელი ნიშანთვისებები შედის P°_j მოდელში, რომლის P°_{ej} პარამეტრით აღინიშნება თითოეული ქვედა დასაშვები ზღვარი. შემდეგ ვიღებთ კონსტანტს და ვადგენთ ვექტორ-სტრიქონთა მიმდევრობას:

$$\begin{aligned}
 P_i^{\circ} = & (P_{i_1}^{\circ}, \dots, P_{i_h}^{\circ}, r_i^{\circ}, P_i^{\circ}), (P_{i_1}^{\circ}, -\Delta, P_{i_2}^{\circ}, \dots, P_{i_h}^{\circ}, r_i^{\circ}(\Delta), P_i^{\circ}), (P_{i_1}^{\circ} - 2\Delta, P_{i_2}^{\circ}, \dots, \\
 & \dots P_{i_h}^{\circ}, r_i^{\circ}(2\Delta), P_i^{\circ}), \dots (P_{i_1}^{\circ} - t_1\Delta, P_{i_2}^{\circ}, \dots, P_{i_h}^{\circ}, r_i^{\circ}(t_1\Delta), P_i^{\circ}), \dots, (P_{i_1}^{\circ}, P_{i_2}^{\circ}, -\Delta, P_{i_3}^{\circ}, \\
 & \dots P_{i_h}^{\circ}, r_i^{\circ}(\Delta), P_i^{\circ}), \dots (P_{i_1}^{\circ}, P_{i_2}^{\circ} - t_2\Delta, P_{i_3}^{\circ}, \dots, P_{i_h}^{\circ}, r_i^{\circ}(t_2\Delta), P_i^{\circ}), \dots (P_{i_1}^{\circ} - t_1\Delta, \\
 & P_{i_2}^{\circ} - t_2\Delta, \dots, P_{i_h}^{\circ} - t_h\Delta, r_i^{\circ}(t_1\Delta, t_2\Delta, \dots, t_h\Delta), P_i^{\circ}), \\
 & P_i^{\circ} = (P_{i_1}^{\circ}, \dots, P_{i_h}^{\circ}, r_i^{\circ}, P_i^{\circ})
 \end{aligned}$$

სადაც $t_j \in N$ /ეს რიცხვი უნდა შეირჩეს ისე, რომ შესრულდეს პირობა:

$$\forall_j \in A_l : P_{ij}^{\circ} - t_j \Delta \geq P_{ij} \quad \text{და} \quad \forall_j \notin A_l : P_{ij}^{\circ} - t_j \Delta \geq 0$$

მნიშვნელობათა განსაზღვრა ხდება შემდეგი სახით:

$$r_i^{\circ}(t_1, \Delta, \dots, t_h \Delta)$$

t_l — აღნიშნოთ ობიექტის ხანგამძლეობა $l \in L$ არსებული პირობების გათვალისწინებით. ცნობილია, რომ ყოველი ამ თანმიმდევრობის ვექტორისათვის იგი იქნება მაქსიმალური. აღნიშნოთ $t_l^{\circ}(t_j \Delta)$ -ით l ობიექტის ხანგრძლივობა, თუ მოცემული მაჩვენებელი უდრის $P_{ij}^{\circ} - t_j \Delta$, ხოლო სხვა მაჩვენებლები უცვლელნი დარჩებიან, მაშინ ობიექტის ხანგამძლეობა $l' - t_l(t_1 \Delta, \dots, t_h \Delta)$, მოცემული ვექტორის მიხედვით $P_i^{\circ}(p_1 - t_1 \Delta, \dots, p_l \alpha - t_l \Delta, \dots, p_l \alpha, r_l(t_1 \Delta, \dots, t_h \Delta), p_l)$ ტოლი იქნება

$$t_l(t_1 \Delta, \dots, t_h \Delta) = \min \{ t_l^{\circ}(t_j \Delta) \}$$

$$P_i^{\circ} \text{ მნიშვნელობისათვის კი } p_e \text{ ტოლი } \frac{t_l}{t_l(t_1 \Delta, \dots, t_l \Delta)}$$

ანალოგიურად შევადგინოთ დანარჩენ J ობიექტზე ვექტორთა თანმიმდევრობა. ამის შემდეგ შესაძლებელია იტერაციის მიმდევრობის P მატრიცის სტრიქონისა და გამოყოფილი მიმდევრობის ვექტორ-სტრიქონის შედარებით მივიღოთ რესურსთა დაზოგვის ოპტიმალური ტექნოლოგიური კრიტერიები.

ამ კრიტერიებს შეესაბამება $P_i = (P_{i_1}, P_{i_2}, \dots, P_{i_h}, C_i)$, რომლის დროსაც ვალწევთ $\min (r_i^e + c^e + P_i^e)$.

l, t, i

მოცემული მეთოდიკის საფუძველზე შემუშავებულ იქნა საშენ მასალათა დამზადების ოპტიმალური ტექნოლოგიის სქემა მადნეულის სამთოვადამამუშავებელი კომბინატის მყავავამძლე ბეტონის გოგირდით გაყენილი რკინა-ბეტონის ცხურების მისაღებად, რომელიც გამოიყენება მეცხოველეობის ფერმაში.

რესურსდამზოგველი ტექნოლოგიის მიღებული მეთოდიკის გამოყენება წელიწადში 60 ათ. მანეთის ეკონომიას იძლევა. ერთიანი მეთოდური მიდგომა და საპროგრამო ალგორითმის დამუშავება იძლევა შესაძლებლობას გაკეთდეს ანალიზი რესურსდამზოგველი ტექნოლოგიის საშენ მასალათა დამზადებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

D. K. KOKOSADZE

МОДЕЛИРОВАНИЕ ВЫБОРА ОПТИМАЛЬНОЙ РЕСУРСΟΣБЕРЕГАЮЩЕЙ ТЕХНОЛОГИИ ИЗГОТОВЛЕНИЯ СТРОИТЕЛЬНЫХ МАТЕРИАЛОВ

Резюме

Математический модуль оптимальной технологии изготовления строительных материалов построен на использовании сферы отходов Маднеульского горно-обогатительного комбината.

Актуальность статьи обусловлена народнохозяйственной значимостью разработки, выбора и внедрения ресурсоемкой технологии. Для решения поставленной задачи удачно используется модификация модели общепризнанной разработки К. А. Антанавичуса, что является новизной статьи.

Единый методический подход и разработка программно-алгоритмического обеспечения методики выбора оптимальной технологии позволяет проводить анализ возможного расширения использования ресурсосберегающих технологий изготовления строительных материалов.

წარმოადგინა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის კვლავწარმოებისა და კაპიტალურ დაბან-
დებათა ეკონომიკური ეფექტიანობის განყოფილებამ

ოთარ გავყრელიძე

თ. წერეთლის შეხედულება სისხლისსამართლებრივი
პასუხისმგებლობის საფუძველზე*

თ. წერეთელმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემას რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა. ერთ-ერთი ნაშრომი ამ საკითხზე „დანაშაულის შემადგენლობა როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი“, რომელიც მან ვ. მაყაშვილთან თანაავტორობით დაწერა, ჯერ კიდევ 1954 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „Советское государство и право“-ს ფურცლებზე (№ 5). აღსანიშნავია, რომ ამ წერილის გამოქვეყნებით ხსენებული ჟურნალის ფურცლებზე დისკუსიაც კი დაიწყო დანაშაულის შემადგენლობის ცნების საკითხზე.

1969 წელს თ. წერეთელმა ქართულ ენაზე გამოსცა კურსი (თანაავტორი გ. ტყეშელიძე) „მოძღვრება დანაშაულზე“ (ნაწილი პირველი), სადაც დაწვრილებით არის გაშუქებული აღნიშნული პრობლემა. საგულისხმოა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს ეხება აგრეთვე მისი უკანასკნელი ნაშრომიც „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები და დანაშაულის ცნება“ („Правоведение“, № 2, 1980), რომელშიც თ. წერეთელმა თავისი შეხედულება ამ საკითხის ირგვლივ კიდევ უფრო თანამიმდევრულად ჩამოაყალიბა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, როგორც ცნობილია, პირდაპირ არის განსაზღვრული მოქმედი კანონმდებლობით. კანონის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება იმას, ვისაც „ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მ.). ამრიგად, კანონმდებელი პასუხისმგებლობას უკავშირებს „დანაშაულის ჩადენას“. დანაშაულის ცნება კი მოცემულია იმავე კოდექსის მე-8 მუხლში, რომლის მიხედვითაც „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ ან სახელმწიფოებრივ წესწყობილებას...“ და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ქმედობის გათვალისწინება სისხლის სამართლის კანონით პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს. საბჭოური სისხლის სამართლის მიხედვით კანონით პირდაპირ აღწერილი დანაშაულის შემადგენლობა გახლავთ ის აუცილებელი ზღვარი, რომლის იქით არ შე-

* თ. წერეთლის დაბადების 80-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება, თბილისი, გვ. 11, 83.



იძლება გავრცელდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. როგორც ცნობილია, 1958 წლის 25 დეკემბრის კანონით (საფუძვლები) აღარ შეიძლება სისხლის სამართალში ანალოგიის წესით პასუხისმგებლობის დაკისრება. ამიტომ არის, რომ 1958 წლიდან მოყოლებული ქმედობის ზუსტი შესაბამისობა კანონით პირდაპირ აღწერილი შემადგენლობისადმი დანაშაულის ცნების აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს. ამ დებულებას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კანონიერების დაცვისა და ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენელთა თვითნებობის აღკვეთისათვის. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლით სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული საქმე უნდა შეწყდეს, თუკი დამტკიცდება, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედობა არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას (პ. 2), ესე იგი, თუ ეს ქმედობა არ შეესაბამება სისხლის სამართლის კანონით პირდაპირ აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს. დანაშაულის ცნების აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს აგრეთვე ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება (მატერიალური მართლწინააღმდეგობა). საზოგადოებრივი საშიშროების გარეშე არ არსებობს პასუხისმგებლობა საბჭოურ სისხლის სამართალში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 და მე-8 მუხლებში ეს პირდაპირ არის აღნიშნული.

დანაშაულის ცნების აუცილებელი ნიშანი გახლავთ ასევე სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ბრალეულად განხორციელება. ბრალი განზრახვის ან გაუფრთხილებლობის სახით დანაშაულის ცნების აუცილებელი ნიშანია საბჭოური სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. თუმცა ეს ნიშანი პირდაპირ არ არის მოცემული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლში, მაგრამ ამ ნაკლს ავსებს ამავე კოდექსის ზემოთ დასახელებული მე-3 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმას, ვისაც „ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში“¹. ერთი სიტყვით, მოქმედი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა პასუხისმგებლობის საფუძვლის ცნებას დანაშაულის ცნებასთან აიგივებს, მათ იდენტურ ცნებებად მიიჩნევს.

მაგრამ ისმება კითხვა, თუკი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ნათლად არის განსაზღვრული კანონმდებლობის მიერ, მაშინ რაღა არის გასარკვევი და სადავო ლიტერატურაში? მართლაც, არავინ არ დავობს იმაზე, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს (1) კანონით გათვალისწინებული, (2) საზოგადოებრივად საშიში და (3) ბრალეული ქმედობა წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, არავინ არ უარყოფს ამ ცნებების მნიშვნელობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სულ სხვა საკითხი. საქმე ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ არ არის ნათლად გარკვეული, თუ როგორ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან დანაშაულის შემადგენლობის, საზოგადოებრივი საშიშროების (მართლწინააღმდეგობის) და ბრალის ცნებები, რა ადგილი უჭირავთ ამ ნიშნებს დანაშაულის ცნების სტრუქტურაში. კერძოდ, გასარკვევია, ხომ არ მოიცავს ერთი ნიშანი, ვთქვათ, დანაშაულის შემადგენლობა, მეორეს, ვთქვათ,

¹ კანონის ეს ტექსტი ერთგვარ უზუსტობას შეიცავს. ისე გამოდის, თითქოს დანაშაულის ჩადენა შესაძლებელი იყოს ბრალის გარეშეც.

საზოგადოებრივ საშიშროებას, და ხომ არ ეძლევა ერთ-ერთი ნიშანს უპირატესობა, გადამწყვეტი მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის დანარჩენ ორ ნიშანთან შედარებით და ა. შ.

საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში დიდი ხანია გაბატონებულად ითვლება ის აზრი, რომ „პირის ქმედებაში განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობის დადგენა წარმოადგენს ამ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ (ხაზგასმა ჩემია, ო. გ.) საფუძველს საბჭოური სამართლის მიხედვით“². ამ შეხედულების ავტორი პროფესორი ა. პიონტკოვსკი სხვა ადგილას ამტკიცებდა: „დანაშაულის შემადგენლობის აღიარება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძველად ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებში შეიძლება განვასხვავოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტური და სუბიექტური საფუძველები“³.

„დანაშაულის შემადგენლობა — წერს ამ მიმართულების ერთ-ერთი დამცველი ვ. კუდრიავცევი — წარმოადგენს ისეთ ნიშანთან სისტემას, რომლებიც აუცილებელი და საკმარისია იმის აღიარებისათვის, რომ პირმა ჩაიდინა შესაბამისი დანაშაული“⁴. როგორც ვხედავთ, ამ მიმართულების ძირითადი აზრი ის ვახლავთ, რომ დანაშაულის შემადგენლობა, ესე იგი ქმედობის შესაბამისობა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობისადმი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის „ერთადერთი“, „საკმარისი“ საფუძველია.

უნდა ითქვას, რომ ამ შეხედულებამ უთუოდ შეასრულა დადებითი როლი და დიდად შეუწყო ხელი ჩვენს ქვეყანაში კანონიერების განმტკიცებას. ხსენებული შეხედულების მომხრეებმა თეორიულად დაასაბუთეს, რომ დანაშაულის შემადგენლობის იქით არ შეიძლება გავრცელდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ დებულებამ თავის დროზე დიდი ზეგავლენა მოახდინა კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაზე. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმ პერიოდში, როცა საბჭოურ სისხლის სამართალში ეგრეთ წოდებული ანალოგიის პრინციპი მოქმედებდა. აღნიშნული თვალსაზრისი სწორედ ანალოგიის მომხრეთა წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ მას არც მომდევნო პერიოდში, ესე იგი 1958 წლის შემდეგ დაუკარგავს თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა, როცა ანალოგიის ინსტიტუტი საბჭოურ სისხლის სამართალში გაუქმდა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძველად კანონით პირდაპირ აღწერილი დანაშაულის შემადგენლობა გამოცხადდა. ეს თვალსაზრისი ამჟამად თეორიულ საფუძველს უქმნის და განამტკიცებს იმ საკანონმდებლო ფორმულას, რომლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობა, ესე იგი ადამიანი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კანონით პირდაპირ გათვალისწინებული ქმედობის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულად ჩადენისათვის.

² Курс советского уголовного права, Т. II, М., 1970, стр. 87.

³ Курс советского уголовного права, стр. 88.

⁴ В. Н. Кудрявцев, Общая теория квалификации преступлений, М., 1972, стр. 73.

მიუხედავად ამისა, აღნიშნული თვალსაზრისი შემდგომ განვითარებას საჭიროებდა, რადგანაც ის თავიდანვე სრულყოფილად ვერ ხსნიდა დანაშაულის შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის ცნებათა ურთიერთდაპოკიდებულების საკითხს და მათ მნიშვნელობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. თ. წერეთელი, რომელსაც საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ეს საკითხი, გაბატონებული შეხედულების მიმართ შენიშნავდა, რომ ეს თვალსაზრისი მეტისმეტად აზვიადებს დანაშაულის შემადგენლობის ცნების მნიშვნელობას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის დანაშაულის ცნების სხვა აუცილებელი ნიშნების ხარჯზე. თ. წერეთელი ეთანხმებოდა გაბატონებულ შეხედულებას იმ საკითხში, რომ დანაშაულის შემადგენლობა არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი საფუძველი, რომ კანონით აღწერილი კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის იქით არ შეიძლება გავრცელდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. „...დანაშაულის შემადგენლობა — წერდა იგი — სამართლიანად აღიარებულია საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში პასუხისმგებლობის აუცილებელი (ო. გ.) საფუძველად“⁵. ეჭვი არ არის, ამ დებულებას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კანონიერების განმტკიცებისათვის.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს დანაშაულის შემადგენლობა „ერთადერთი“ და „საკმარისი“ საფუძველია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, როგორც ამას გაბატონებული შეხედულების მომხრეები ამტკიცებენ. განსვენებული მეცნიერის აზრით, დანაშაულის შემადგენლობა ერთადერთი კი არაა, ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა, რომ მართო ეს ნიშანი არ კმარა პასუხისმგებლობისათვის. ამ საკითხის გამო იგი წერდა: „მაშასადამე, არ შეიძლება დანაშაულის ცნების ზემოაღნიშნული ნიშნებიდან (დანაშაულის შემადგენლობა, საზოგადოებრივი საშიშროება და ბრალი, ო. გ.) გამოვყოთ რომელიმე მათგანი და ისე გავაფეტოვოთ, რომ მხოლოდ ეს ნიშანი გამოვაცხადოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის „ერთადერთ“ ან „ერთადერთ აუცილებელ და საკმარის საფუძველად“⁶.

დანაშაულის შემადგენლობის გამოცხადება პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძველად ბუნებრივად ბადებს კითხვას: რა მნიშვნელობა ეძლევა პასუხისმგებლობისათვის მართლწინააღმდეგობას (საზოგადოებრივ საშიშროებას) და ბრალს? პროფ. ა. პიონტოვსკი მართლწინააღმდეგობას დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად მიიჩნევდა. მისი აზრით, დანაშაულის შემადგენლობა არის ზოგადი ცნება, ხოლო საზოგადოებრივი საშიშროება მისი ერთ-ერთი ნიშანია, რომლის გარეშე არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობა. „იქ, სადაც არ არსებობს ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობაც საბჭოური სისხლის სამართლის მიხედვით“⁷ — წერდა ის. ცოტა ქვემოთ ა. პიონტოვსკი აღნიშნავდა, რომ „ჩვენს მიერ ზემოთ განვითარებული შეხედულების თანახმად, საზოგადოებრივი სა-

⁵ თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 90.

⁶ Т. В. Церетели, Основания уголовной ответственности и понятие преступления, Правоведение, 1980, № 2, стр. 80.

⁷ Курс советского уголовного права, стр. 342.

წინააღმდეგობა (მართლწინააღმდეგობა) დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშნებს მიეკუთვნება⁸.

თ. წერეთელი არ ეთანხმებოდა დანაშაულის შემადგენლობის ცნების ამგვარ გაგებას. მისი აზრით, თუკი დანაშაულის შემადგენლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის „ერთადერთი“ და „საკმარისი“ საფუძველია და მართლწინააღმდეგობა და ბრალიც მის აუცილებელ ნიშნებს მიეკუთვნება, მაშინ გამოდის, რომ დანაშაულის შემადგენლობის და დანაშაულის ცნებები ერთმანეთს ემთხვევა. ამ დებულებიდან კი ისეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ერთ-ერთი ამ ცნებათაგანი ზედმეტია და ის უნდა განიღმეოს სისხლის სამართლის სფეროდან. დანაშაულის ცნების გამო შეიძლება ითქვას, რომ იგი არის „აუცილებელი“, „ერთადერთი“, „საკმარისი“ საფუძველი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, რადგანაც დანაშაულის ცნებაში (როგორც ყველაზე უფრო ზოგად ცნებაში) გაერთიანებულია ყველა ელემენტი, რომლებიც აფუძნებენ პასუხისმგებლობას და სასჯელს. მაგრამ ამას ვერ ვიტყვი დანაშაულის ცნების ცალკეული ელემენტების მიმართ, იქნება ეს ქმედობის საზოგადოებრივი საწინააღმდეგობა, ბრალი თუ ფაქტიურად ჩადენილი ქმედობის ნიშნების შესაბამისობა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედობის ნიშნებთან⁹.

ერთი სიტყვით, დანაშაულის შემადგენლობა, საზოგადოებრივი საწინააღმდეგობა და ბრალი ერთიანდებიან დანაშაულის ცნებაში. ისინი დანაშაულის ცნების ელემენტები, მისი აუცილებელი ნიშნებია. ამიტომ არ შეიძლება, რომ მართლწინააღმდეგობა (საზოგადოებრივი საწინააღმდეგობა) ერთსა და იმავე დროს დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანიც იყოს და დანაშაულის ცნების ნიშანიც. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც უკვე ვთქვით, დანაშაულის ცნება და დანაშაულის შემადგენლობის ცნება ერთმანეთს დაემთხვევა, რაც აშკარად არ შეესაბამება სინამდვილეს.

ზოგიერთი მეცნიერი, რომელიც საზოგადოებრივ საწინააღმდეგობას დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად თვლის, ცდილობს დაძლიოს ეს წინააღმდეგობა და მონახოს დანაშაულის ცნებისა და დანაშაულის შემადგენლობის ცნების განმასხვავებელი ნიშანი. მაგალითად, ვ. კუდრიავეცის აზრით, დანაშაულის შემადგენლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები ამავე დროს ამ დანაშაულის ცნების ნიშნებიცაა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს აღნიშნული ცნებები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ვ. კუდრიავეცის თქმით, დანაშაულის შემადგენლობის ცნებაში ნიშნები ჩამოთვლილია ერთგვარი მკაცრი თანმიმდევრობით, ისინი დაჯგუფებული, შეკავშირებული არიან განსაზღვრული დანაშაულის ელემენტებთან, ხოლო დანაშაულის ცნებისათვის ეს დამახასიათებელი არ არის. მას მიაჩნია, რომ შემადგენლობის და დანაშაულის ცნებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი შინაგანი სტრუქტურით, ერთი და იგივე ნიშნების მოწესრიგებულობის ხარისხით¹⁰.

მაგრამ ვ. კუდრიავეცი თავის თვალსაზრისს რატომღაც არ ასაბუთებს.

⁸ Курс советского уголовного права, стр. 345.

⁹ Т. В. Церетели, Основания уголовной ответственности и понятие преступления, стр. 81.

¹⁰ В. Н. Кудрявцев, Общая теория квалификации преступлений, М., 1972, стр. 72.



ამიტომ ძნელი ასახსნელია, როგორ ხდება, რომ ერთი და იგივე ნიშნები შემადგენლობის ცნების სტრუქტურაში დალაგებული არიან „მკაცრი თანმიმდევრობით“, ხოლო დანაშაულის ცნებაში ასეთ „თანმიმდევრობას“ ვერ ვხედავთ. გაურკვეველია, რა კანონზომიერებას ემორჩილება შემადგენლობის ნიშნების დალაგების ასეთი წესი და რა პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მას.

როგორც უკვე ვთქვით, თ. წერეთლის აზრით, დანაშაულის ცნება სამი ძირითადი ელემენტისაგან შედგება: დანაშაულის შემადგენლობა, საზოგადოებრივი საშიშროება და ბრალი. მაშასადამე, თ. წერეთელი დანაშაულის სამნიშნოვანი ცნების მომხრე იყო. ეს ნიშნები დანაშაულის ცნების სტრუქტურაში დალაგებული არიან ისე, რომ თითოეული მათგანი თუმცა აუცილებელია, მაგრამ არ არის „საკმარისი“, „ერთადერთი“ საფუძველი პასუხისმგებლობისათვის. იმისათვის, რომ ადამიანმა პასუხი აგოს სისხლის სამართლის წესით, აუცილებელი და, ამავე დროს, საკმარისია სამივე აქ დასახელებული ნიშანი, ასე, რომ სამივე ნიშანს თანაბარი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. როცა ქმედობა სამივე ამ ნიშანს შეიცავს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩადენილია დანაშაული, რომელიც უკვე საკმარისია პიროვნების სისხლის სამართლის წესით დასასჯელად.

მაგრამ ეს დებულება მანამ ვერ ჩაითვლება დასაბუთებულად, სანამ ჩვენ არ გავარკვევთ დანაშაულის შემადგენლობის, საზოგადოებრივი საშიშროების და ბრალის ცნებათა ურთიერთდამოკიდებულებას. მთავარი აქ იმის დამტკიცებაა, რომ ეს ნიშნები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობენ. გაბატონებული თვალსაზრისი, როგორც ვნახეთ, ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად მიიჩნევს. ამიტომ, თუკი ქმედობა არ არის საზოგადოებრივად საშიში, იგი არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას. ამრიგად, დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების გარეშე.

თ. წერეთელი არ ეთანხმებოდა ამ აზრს. თავის ერთ-ერთ ადრინდელ ნაშრომში იგი პროფ. ა. ტრანინის თვალსაზრისზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ, საზოგადოებრივი საშიშროება რომ შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი იყოს, მაშინ სასამართლო ვალდებული იქნებოდა, ყოველი საქმის განხილვის დროს საგანგებოდ დაესაბუთებია ამ ნიშნების არსებობა — არარსებობა¹¹. „ფაქტიურად ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, — ამბობდა თ. წერეთელი — რომ ჩვენ უფლებას ვაძლევთ სასამართლოს რევიზია გაუკეთოს სისხლის სამართლის კანონის დადგენილებებს და დამოუკიდებლად შეაფასოს, ნამდვილად არის თუ არა სისხლის სამართლის კანონში გათვალისწინებული ქმედობა ამავე დროს მართლსაწინააღმდეგო და საზოგადოებრივად საშიში“¹². მისი აზრით, სასამართლოსათვის ამ უფლების მიცემა იქნებოდა კანონით ზუსტად აღწერილი „შემადგენლობებისათვის ძირის გამოთხრა და კანონმდებლის მიერ დადგენილი ნათელი და მტკიცე კრიტერიუმების შეცვლა მოსამართლის სუბიექტური შეხედულებებით და აზრებით“¹³.

¹¹ Т. В. Церетели, В. Г. Макашвили, Состав преступления как основные уголовной ответственности, «Советское государство и право», 1954, № 5.

¹² თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოძღვრება დანაშაულზე, გვ. 105.

¹³ იქვე; ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული ვ. პროხოროვსკი, об. Курс. советского уголовного права, ч. общая, Т. I, ЛГУ, 1968, стр. 259.

მაგრამ არ არსებობს წესი გამონაკლისის გარეშე, — აღნიშნავდა იგი. ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ადამიანის მიერ ჩადენილი ქმედობა ფორმალურად შეესაბამება სისხლის სამართლის კანონით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ მატერიალურად ქმედობა არ არის საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო, ვინაიდან არსებობს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი განსაკუთრებული გარემოება¹⁴.

თ. წერეთელი, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს პასუხისმგებლობის ისეთ გამომრიცხველ გარემოებებზე, როგორცაა აუცილებელი მოგერიება და უკიდურესი აუცილებლობა, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. მაგალითად, სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-13 მუხლის თანახმად „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში...“

„საფუძვლების“ მე-14 მუხლი ასევე აწესებს: „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, რომელიც თუმცა შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ ქმედობის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში...“

თ. წერეთელი საგანგებოდ უსვამს ხაზს სიტყვებს: „სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობის ნიშნებს“¹⁵. ხაზგასმული სიტყვები კანონისა იმ აზრს ადასტურებს, რომ ქმედობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონით არის გათვალისწინებული, ყოველთვის როდი შეიძლება იყოს საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო. მაგალითად, მკვლელობის ნიშნები აღწერილია სისხლის სამართლის კანონში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაცის მოკვლა ყოველთვის და ყოველგვარ ვითარებაში სამართალს ეწინააღმდეგება. კანონში აღწერა ამ ქმედობისა ადასტურებს, რომ ასეთი ქმედობა ტიპურად საზოგადოებრივად საშიშია, ხოლო ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას არ იქნება საზოგადოებრივად საშიში. „...დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონშია აღწერილი, — წერდა ამის გამო თ. წერეთელი — ტიპიზებულ სისხლისსამართლებრივ უმართლობას წარმოადგენს. მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ქმედობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონში აღწერილი ქმედობის ტიპს ფორმალურად შეესაბამება, მატერიალურად არ არის დანაშაული, ვინაიდან განსაზღვრულმა კონკრეტულმა გარემოებამ, რომელიც შეიძლება გათვალისწინებული იყოს თვით სისხლის სამართლის კანონში, გამოირიცხა ასეთი ქმედობის მართლსაწინააღმდეგო და დანაშაულებრივი ხასიათი“¹⁶.

როგორც ვხედავთ, ჩადენილი ქმედობის შესაბამისობა სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედობის ნიშნებისადმი, ესე იგი დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი, შეიძლება არსებობდეს საზოგადოებრივი საშიშროების და მართლწინააღმდეგობის ნიშნისაგან დამოუკიდებლად, რომ ეს ორი ნიშანი

14 თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოძღვრება დანაშაულზე, გვ. 105.

15 იქვე, 106.

16 თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოძღვრება დანაშაულზე, გვ. 107.

დანაშაულისა ტიპურად კი ერთმანეთს ემთხვევიან და ერთი მეორის გარეშე არ არსებობს, მაგრამ ზოგჯერ ისინი დამოუკიდებლადაც შეიძლება გვევლინებოდნენ. პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი შეიძლება არსებობდეს საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნისაგან დამოუკიდებლადაც.

ერთი სიტყვით, ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება არ შეიძლება იყოს დანაშაულის შემადგენლობის ცალკე ნიშანი, იგი დანაშაულის ცნების ერთ-ერთი ნიშანია. ჯერ კიდევ პროფ. ა. ტრაინინი აღნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი კი არ არის, არამედ ის ახასიათებს შემადგენლობის ყველა ნიშანთა ერთობლიობას. ამ თვალსაზრისს თ. წერეთელიც იზიარებდა¹⁷. იგი აქედან სავსებით სწორად დაასკვნოდა, რომ ის, რაც შემადგენლობის ყველა ნიშანთა ერთობლიობას ახასიათებს, არ შეიძლება იმავე დროს იყოს ამ შემადგენლობის ცალკე ნიშანიც¹⁸.

საკითხის შემდგომმა დამუშავებამ თ. წერეთელი იმ აზრამდე მიიყვანა, რომ დანაშაულის შემადგენლობა აღწერილობითი ცნებაა, შემადგენლობა ქმედობის აღწერაა სისხლის სამართლის კანონში, ხოლო ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება ამ ქმედობის შეფასებაა, უფრო სწორად კანონით აღწერილი ქმედობის უარყოფითი შეფასებაა. აქ ერთმანეთს უპირისპირდება ქმედობის აღწერა და მისი შეფასება, დანაშაულის ეს ორი სხვადასხვა ნიშანი¹⁹. მაგალითად, კანონი ქურდობის შემადგენლობას ასე აღწერს: 1) სხვისი ქონების 2) ფარული წაღება 3) მითვისების მიზნით. ამ ნიშნებით აღწერილი ქმედობა, როგორც წესი, ტიპურად უარყოფითად ფასდება, ესე იგი საზოგადოებრივად საშიშია.

დანაშაულის შემადგენლობისა და ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების (მატერიალური მართლწინააღმდეგობა) ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის შემდეგ უნდა დადგინდეს ბრალის ცნების ადგილი დანაშაულის ზოგადი ცნების სტრუქტურაში. ამ საკითხზე თ. წერეთელს მეტად საგულისხმო აზრები აქვს გამოთქმული. იგი არკვევს ბრალის ცნების დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, დანაშაულის შემადგენლობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, მართლწინააღმდეგობისა და საზოგადოებრივი საშიშროების ცნებასთან. განსაკუთრებით საფუძვლიანად აქვს თ. წერეთელს შესწავლილი ეს უკანასკნელი საკითხი, ესე იგი საზოგადოებრივი საშიშროებისა და ბრალის ცნებათა დამოკიდებულება.

ამ საკითხში თ. წერეთელი არ ეთანხმებოდა საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებულ თვალსაზრისს. როგორც ცნობილია, გაბატონებულ იყო თვალსაზრისი ბრალს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების აუცილებელ ნიშნად მიიჩნევს. თ. წერეთელი კი ამის საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა, რომ ბრალი და საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის ცნების ორი აუცილებ-

17 Т. В. Церетели, Основания уголовной ответственности и понятие преступления, стр. 83.

18 Т. В. Церетели, В. Г. Макашвили, Состав преступления как основания уголовной ответственности, стр. 72.

19 იხ. ამ საკითხზე აგრეთვე Г. Т. Ткешелиадзе, Судебная практика и уголовный закон, 1975, стр. 54—55.

ბელი და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნიშნებია. იმის დასამტკიცებლად, რომ საზოგადოებრივი საშიშროება შეიძლება არსებობდეს ობიექტურად, ბრალის გარეშე, მას საფუძვლიანი არგუმენტები აქვს მოტანილი.

თ. წერეთელი ეყრდნობოდა მოქმედ კანონმდებლობას, სადაც აშკარად ჩანდა, რომ თვითონ კანონმდებელი აღიარებს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ცნების არსებობას ბრალის ცნებისაგან დამოუკიდებლად. მაგალითად, „საფუძვლების“ მე-11 მუხლის ძალით „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება იმ პირს, რომელიც საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში“. მაშასადამე, შეურაცხს, რომელსაც არა აქვს ბრალეულად მოქმედების უნარი, ამავე დროს უნარი აქვს, შეუძლია ჩაიდინოს საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, დაასკვნა იგი. ასეთივე დასკვნა გამოჰქონდა მას „საფუძვლების“ მე-13 მუხლის შინაარსიდანაც²⁰.

შეურაცხს რომ საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩადენის უნარი აქვს, ჩანს იქიდანაც, რომ ასეთი კაცის თავდასხმის წინააღმდეგ არსებობს აუცილებელი მოგერიების უფლება. თ. წერეთელი იშველიებდა იმ აზრს, რომ აუცილებელი მოგერიება ნებადართულია იმ შემთხვევაშიც, როცა თავდამსხმელი იმყოფება მისატყვებელი შეცდომის მდგომარეობაში და მაშასადამე, არ მოქმედებს ბრალეულად. ასეთი მოქმედება რომ საზოგადოებრივად საშიში არ იყოს, მაშინ მის წინააღმდეგაც არ იქნებოდა ნებადართული მოგერიება²¹ და სხვ.

თ. წერეთელს ქმედობის ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების დასაბუთების გზაზე კიდევ ერთი სირთულის დაძლევა მოუხდა. საქმე ის გახლავთ, რომ ზოგიერთი დელიქტის უმართლობის დასაბუთება შეუძლებელია ისე, თუ არ მოვიშველიებთ სუბიექტურ ნიშანს. მაგალითად, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის და ზოგიერთი სხვა დელიქტის საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელი ნიშანია სხვისი ქონების მითვისების მიზანი. როგორ შევუთავსოთ ეს დებულება იმ აზრს, რომ ბრალი არ განსაზღვრავს ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, არ არის მისი აუცილებელი ნიშანი? თ. წერეთელმა განავეითარა ის დებულება, რომ სუბიექტური ნიშნების ჩართვა ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ცნებაში სრულიადაც არ მოასწავებს ბრალისა და უმართლობის ცნებათა აღრევას. საზოგადოებრივი საშიშროება მაინც რჩება ობიექტურ სიდიდედ, რომელიც ერთნაირად დამოუკიდებელია კონკრეტული ადამიანის პიროვნული შესაძლებლობებისაგან, რომლებიც მხოლოდ ბრალისა და მისი ხარისხის განსაზღვრაზე ახდენენ ზეგავლენას.

თ. წერეთლის აზრით, სუბიექტური მომენტი ყოველთვის არ უნდა გავაიგივეოთ ბრალთან. ხანდახან სუბიექტური ნიშანი ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების განმსაზღვრელია (მაგალითად, მოგების მიზანი სპეკულაციის დროს), მაშინ, როცა ბრალს პერსონალური გასაკიცხობის მნიშვნელობა აქვს. სუბიექტური მომენტი „საზოგადოებრივი საშიშროების განსჯისას — წერდა თ. წერეთელი — არ ფასდება დამნაშავეისათვის პერსონალური შერაცხვის თვალსაზრისით, რაც დაკავშირებულია მოცემული კონკრეტული პირის გასა-

²⁰ Т. В. Церетели, Основания уголовной ответственности и понятие преступления, стр. 84.

²¹ იქვე.

კიცი ფსიქიკური მდგომარეობის დადგენასთან²². ერთი სიტყვით, ფსიქიკური მომენტი ერთსა და იმავე დროს შეიძლება გამოდგეს საზოგადოებრივი საშიშროების და ბრალის დასადგენად. სუბიექტური მომენტის შეფასება ორივე შემთხვევაში სხვადასხვაგვარია. საზოგადოებრივი საშიშროების დასაბუთებისათვის სუბიექტური ნიშანი (ვთქვათ, მიზანი) ფასდება ობიექტური თვალსაზრისით, ხოლო ბრალის მსჯელობისას კი ამ ნიშნის შეფასება ხდება პერსონალური კუთხით. მაგალითად, მიზანი სპეკულაციის დროს, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს სპეკულაციის დელიქტის ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას, ვინაიდან ამ ნიშნის გარეშე ნივთის ყიდვა და გაყიდვა სხვა შინაარსს შეიძენდა. მეორე მხრივ, ამავე სუბიექტურ ნიშანს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა სუბიექტის პერსონალური გასაკიცხობის, ესე იგი ბრალის მსჯელობის თვალსაზრისით.

შემდგომი სირთულე, რომელიც ამ პრობლემის განხილვისას წარმოიშობა, არის ის, თუ რა ზომით ახდენენ სუბიექტური ნიშნები ზეგავლენას ობიექტური საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრაზე. ეს საკითხი თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში ძლიერ სადავოდ ითვლება. თ. წერეთელი იმ შეხედულებას იზიარებდა, რომ სუბიექტური მომენტები არ განსაზღვრავენ ისეთი ტიპის დელიქტების მართლწინააღმდეგობას, რომელთა ჩადენა განზრახვითაც არის შესაძლებელი და გაუფრთხილებლობითაც (მაგალითად, მკვლელობა, სხეულის დაზიანება და სხვ.). მისი აზრით, სუბიექტური მომენტები მართლწინააღმდეგობას განსაზღვრავენ ეგრეთ წოდებულ ფინალურ დელიქტებში (ქურდობა, სპეკულაცია და სხვ.)²³.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ თ. წერეთელი დანაშაულის შემადგენლობას, საზოგადოებრივ საშიშროებას (მატერიალურ მართლწინააღმდეგობას) და ბრალს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ცნებად მიიჩნევდა. მაგრამ, მისი აზრით, ამ ცნებათა დამოუკიდებლად არსებობის დასაბუთება როდი ნიშნავს მათ სრულ გათიშვას ერთმანეთისაგან. ყველა ეს ნიშანი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და, მაშასადამე, ისინი ერთიანდებიან დანაშაულის ზოგად ცნებაში. თ. წერეთლის შეხედულებით, დანაშაულის შემადგენლობა, საზოგადოებრივი საშიშროება და ბრალი ყველა ერთად აღებული წარმოადგენენ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელ და საკმარის საფუძველს. ამიტომ არც ერთი ამ ნიშანთაგანი ცალკე აღებული არ შეიძლება იყოს საკმარისი საფუძველი პასუხისმგებლობისათვის. მაგრამ რადგან ეს ნიშნები საბოლოოდ დანაშაულის ზოგად ცნებაში იყრიან თავს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენა. ასეთია თ. წერეთლის შეხედულება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის საკითხზე, რომელიც აწ განსვენებულმა მეცნიერმა მისთვის ჩვეული სიღრმით გამოიკვლია და ამით საგრძნობი წვლილი შეიტანა საბჭოური სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებაში.

²² Т. В. Церетели, Основания уголовной ответственности..., стр. 85.

²³ Т. В. Церетели, Основания уголовной ответственности и понятие преступления, стр. 85; ამ თვალსაზრისის კრიტიკული შეფასება იხ. ო. გამყრელიძე უმართლობის სუბიექტური ნიშნების საკითხისათვის, „მაცნე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1983, № 2.

О. К. ГАМКРЕЛИДЗЕ

ВЗГЛЯД Т. В. ЦЕРЕТЕЛИ НА ОСНОВАНИЕ УГОЛОВНОЙ ОТВЕТСТВЕННОСТИ

Резюме

В статье показаны логическая завершенность, теоретическая ценность и практическая полезность концепции Т. В. Церетели по сложной проблеме основания уголовной ответственности. Автор полностью одобряет эту концепцию, которая наряду с соответственным деяния составу преступления, необходимым основанием уголовной ответственности считает общественную опасность деяния и вину преступника.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილებამ.



მარიამ ცისკაძე

პროდუქციის და ფრინველის გამომწოდის ხელშეწყობის დადგინის ზოგიერთი თავისებურება

1. კომუნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიმდინარე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბჭოთა ადამიანების სურსათ-სანოვაგით სტაბილურ უზრუნველყოფას. „კვების საშუალებების წარმოება უშუალო მწარმოებელთა სიცოცხლისა და საერთოდ ყოველი წარმოების უპირველესი პირობაა“ — წერდა კ. მარქსი¹.

უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში საგრძობლად გაიზარდა კვების პროდუქტების წარმოება. მაგრამ ხორცის, რძისა და კვერცხის პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებები მნიშვნელოვნად აღემატება მათი წარმოების დონეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 15 ივნისის პლენუმზე ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის ძირითადი მიმართულება, ძირითადი ამოცანა, მთავარი მიზანი ის არის, რომ უკვე უახლოეს მომავალში მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ძირითად სასურსათო საქონელზე რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების დონე. რესპუბლიკაში 1,7-ჯერ უნდა გაიზარდოს ყველა სახეობის საკვების წარმოება, ხოლო ხორცის საშუალო წლიური წარმოება კი 215—220 ათასი ტონამდე².

ამ მაჩვენებლების რეალიზაცია საკმაოდ დიდ მოთხოვნებს უყენებს ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საჭოთა მეურნეობებს, რომელნიც სასურსათო პროგრამის რეალიზაციისა და სურსათით ხალხის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მთავარ წყაროს წარმოადგენენ. საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელი აღმავლობის პირობებში, სასურსათო პროგრამის წარმატებით გადაწყვეტის მნიშვნელოვანი რეზერვი არის აგრეთვე მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებული პროდუქცია.

1981 წლის 8 იანვარს სკკპ ცკ და მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დადგენილება „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაფართოების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“³. აღნიშნულ დადგენილებაში მოცემულია მრავალი უაღრესად ეფექტიანი ღონისძიება პირად დამხმარე მეურნეობებში სასოფლო-სამეურ-

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, 1959 წ. ტ. 3, ნაწილი II, წიგნი III. კაპიტალის წარმოების ერთობლივი პროცესი, გვ. 218.

² ე. ა. შევარდნაძე, სასურსათო პროგრამა საერთო პარტიული, საყოველთაო სახალხო საქმეა. მოხსენება საქ. კომპ. ც. კ. VII პლენუმზე თბ., 1982 წ. გვ. 11—12.

³ Решения партии и правительства по хозяйственным вопросам (1979—1983 г. г.) Постановление ЦК КПСС и Совета Министров СССР 3 января 1981 г. «О дополнительных мерах по увеличению производства сельскохозяйственной продукции в личных подсобных хозяйствах граждан». с. 533.

ნეო პროდუქციის წარმოების შემდგომი გაფართოების თაობაზე. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიებაა სახელშეკრულებო ურთიერთობათა განვითარება, ერთის მხრივ, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებსა და სამომხმარებლო კოოპერაციას და მეორეს მხრივ, მოქალაქეებს შორის პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდისა და რძის მიწოდების თაობაზე. კოოპერირების ასეთი ფორმა მნიშვნელოვნად ამაღლებს პირად დამხმარე მეურნეობებში წარმოებისა და შრომის განსაზოგადების დონეს, ასეთ პირობებში ინდივიდუალური შრომა საზოგადოებრივ მეურნეობათა სამსახურში დგება.

1981 წლის 8 იანვრის დადგენილების შესაბამისად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის დამზადების სამინისტრომ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ შეიმუშავეს და 1981 წლის 12 მარტს დაამტკიცეს მოქალაქეთა მიერ პირად დამხმარე მეურნეობებში პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ტიპობრივი ხელშეკრულება.

2. პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულებით ერთი მხარე (მოქალაქე) კისრულობს საკუთარი შრომით გამოზარდოს გარკვეული წონის მიღწევამდე პირუტყვი და ფრინველი, ხოლო მეორე მხარე (კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამეურნეობათაშორისო საწარმო) ვალდებულია გადასცეს მოქალაქეს პირუტყვისა და ფრინველის მოზარდული, მოამარაგოს იგი საჭირო საკვებით, მიიღოს და აანაზღაუროს გამოზრდილი პირუტყვისა და ფრინველის ღირებულება.

ხელშეკრულება, როგორც ქონებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი ფორმა, გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით. ზემოთ აღნიშნულ ხელშეკრულებას კი სამოქალაქო სამართალი არ იცნობს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულება კანონსაწინააღმდეგოა. საქმე ისაა, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა: „გარიგებებისაგან, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, აგრეთვე გარიგებებისაგან, რომლებიც თუმცა არაა გათვალისწინებული კანონით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“.

პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულება კი სწორედ ისეთი ხელშეკრულებაა, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, მაგრამ არც ეწინააღმდეგება მას. მისაღებია მოსაზრება, რომლის თანახმად გამოზრდის ხელშეკრულება გათვალისწინებული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებში⁴. კერძოდ, ნარდობის ხელშეკრულებათა თავში.

3. პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულების სუბიექტები: კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სამეურნეობათაშორისო საწარმო (რომელიც მოქალაქეს გადასცემს პირუტყვისა და ფრინველის მოზარ-

⁴ Козырь М. И., Совершенствование правового регулирования личного подсобного хозяйства граждан СССР, Журнал «Советское государство и право», 1982 г., № 9. стр. 42.

დულს) ერთი მხრივ და მოქალაქე მეორე მხრივ, (რომელმაც უნდა გამოზარდოს პირუტყვი და ფრინველი გარკვეულ წონამდე და ასაკამდე).

მართალია, ტიპობრივი ხელშეკრულების ტექსტში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ ხელშეკრულების მეორე მხარის როლში სოფლის მოსახლეობის რა კატეგორია გამოდის, მაგრამ ცხადია, რომ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს კოლმეურნე გლეხთან, საბჭოთა მეურნეობისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოს მუშაკთან, სოფლად მცხოვრებ ექიმთან, პედაგოგთან, ინჟინერთან, ეკონომისტთან, პენსიონერთან და ა. შ.

ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით პირუტყვისა და ფრინველის გამოზარდის ხელშეკრულება იდება არა მარტო ცალკეულ მოქალაქეებთან, არამედ პირთა ჯგუფებთანაც. სამეურნეო მუშაკებისა და სწავლული ეკონომისტების მიერ ასეთი პრაქტიკა მოწონებულია და მას დადებით შეფასებას აძლევენ.

ბუნებრივია იზადება კითხვა: დასაშვებია თუ არა ასეთი პრაქტიკა საბჭოთა კანონმდებლობით?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირუტყვისა და ფრინველის გამოზარდის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა, რომელიც არეგულირებს პირუტყვისა და ფრინველის გამოზარდასთან დაკავშირებულ ქონებრივ ურთიერთობებს. ხოლო ქონებრივი ურთიერთობები საბჭოთა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით რეგულირდება. მაგრამ ვინ შეიძლება იყოს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით რეგულირებული ქონებრივი ურთიერთობის სუბიექტი? საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად სამოქალაქო კანონმდებლობა არეგულირებს ურთიერთობებს: 1. სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის; 2. მოქალაქეებსა და სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის; 3. მოქალაქეებს შორის. ამასთან ერთად, ამავე სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად სამოქალაქო სამართლით რეგულირებული ქონებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს არა ყველა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, არამედ მხოლოდ ისეთი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც იურიდიული პირის უფლებით იქნება აღჭურვილი.

ხოლო ის თვისებები, რაც იურიდიულ პირებს ახასიათებთ, კერძოდ, სამეურნეო ანგარიშზე ყოფნა, ძირთადი და საბრუნავი საშუალებებისა და დამოუკიდებელი ბალანსის არსებობა, დამოუკიდებელ ხარჯთაღრიცხვაზე ყოფნა და ა. შ. ცხადია, ზემოთ აღნიშნული კოლექტივისათვის არ არის დამახასიათებელი.

აქრიგად, პირთა ჯგუფებთან გამოზარდის ხელშეკრულების დადება იურიდიულად დაუშვებელია.

⁵ ვ. მჭედლიშვილი, „ტიბანელთა გაბედული ნაბიჯები“, გაზეთი კომუნისტი, 1982 წ. 30 სექტემბერი №225.

გ. ნოღია „ფართო გზა კოოპერირებას! საკარმიდამო მეურნეობის სიკეთე“. გაზეთი კომუნისტი, 1981 წ. 5 სექტემბერი, № 205.

გ. ნოღია „კოოპერირების შედეგები“ გაზეთი კომუნისტი, 1981 წ. 11 დეკემბერი, № 284. კ. ჩარკვიანი, „კოოპერირების ახალი ფორმები“, გაზეთი კომუნისტი, 1982 წელი 19 ოქტომბერი, № 239.

მაგრამ, ყოველივე ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ სოფლის მეურნეობაში ფართოდ გავრცელებული და მოწონებული პირთა ჯგუფების მიერ პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ეკონომიკურად ეფექტიანი პრაქტიკა უნდა აღმოიფხვრას? რა თქმა უნდა არა.

მოქალაქეებს შეუძლიათ მეურნეობასთან, ან კოლმეურნეობასთან გამოზრდის ხელშეკრულების დადების შემდეგ გაერთიანდნენ და გაინაწილონ შრომა პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის თაობაზე. ზობის რაიონის ახალსოფლის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში მეურნეობასთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ 5 მუშა გაერთიანდა, ერთ-ერთი მათგანის ეზოში საერთო ძალებით ააშენეს საღორე 10 სულზე და მეურნეობის მიერ მათთვის გამოსაზრდელად გადაცემული გოჭების გამოზრდა დაიწყო ჯგუფური წესით. თითოეული მათგანისათვის მოსახერხებელი და ხელსაყრელია გოჭების ამგვარი წესით გამოზრდა. შრომა მათ შორის განაწილებულია, რის გამოც, გოჭების გამოზრდასთან დაკავშირებული სამუშაოები უფრო სწრაფად და ორგანიზებულად ხორციელდება. გოჭებიც წონაში უფრო სწრაფად იმატებენ და პირუტყვის დაცემის შემთხვევებიც იშვიათია. უნდა აღინიშნოს, რომ ახალსოფლის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში ასეთი ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას გამოზრდის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს. მეურნეობა არ ერევა მათ საქმიანობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ პირთა ჯგუფის შიგნით წამოჭრილი ურთიერთობანი გამოზრდის ხელშეკრულების მიღმა რჩება.

ამრიგად, გამოზრდის ხელშეკრულება უნდა დაიდოს ცალკეულ მოქალაქესთან და არა პირთა ჯგუფთან. შემდგომში ცალკეულ მოქალაქეებს შეუძლიათ გაერთიანდნენ, მაგრამ ასეთი გაერთიანების შიგნით წამოჭრილი ურთიერთობანი ესაა ურთიერთობა თვით ჯგუფის წევრებს შორის და არა ჯგუფსა და მეურნეობას შორის. ასეთი ურთიერთობა კი სხვა ნორმებით რეგულირდება. კერძოდ, მოქალაქეებს, რომლებსაც გამოზრდის ხელშეკრულება აქვთ დადებული მეურნეობასთან, თავის მხრივ, შეუძლიათ დადონ საერთო საქმიანობის ხელშეკრულება, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 447-ე მუხლი. საერთო საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის განსხვავდება პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულებისაგან. გარდა ამისა, საერთო საქმიანობის ხელშეკრულებიდან აღმოცენებულ ურთიერთობებში მეურნეობები ვერ მიიღებენ მონაწილეობას, ვინაიდან ისინი საერთო საქმიანობის ხელშეკრულების ობიექტებთან, მოქალაქეებთან დაკავშირებულნი არიან მხოლოდ გამოზრდის ხელშეკრულებით.

4. პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ტიპობრივი ხელშეკრულებით მეურნეობა მოვალეა მოქალაქეს გამოსაზრდელად გადასცეს განსაზღვრული სახეობის პირუტყვისა და ფრინველის მოზარდული.

ამ შემთხვევაში ტიპობრივი ხელშეკრულება, ძირითადად საზოგადოებრივი მეურნეობის საკუთრებაში მყოფი პირუტყვისა და ფრინველის ხარჯზე ითვალისწინებს პირუტყვის ან ფრინველის მოზარდულის გამოსაზრდელად გადაცემას. მაგრამ, ხშირია შემთხვევები, როცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არა ჰყავთ გამოსაზრდელად გადასაცემი პირუტყვის ან ფრინველის კონტინგენტი, მაგრამ მოსახლეობა, რომელსაც პირად საკუ-

თრებაში ჰყავს პირუტყვის ან ფრინველის მოზარდული, სურვილს გამოთქვამს საზოგადოებრივ მეურნეობასთან კოოპერირების გზით გამოზარდოს ისინი. ასეთი პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული ხობის რაიონში. ამ რაიონის მოსახლეობა განცხადებით მიმართავს კოლმეურნეობის გამგეობას ან მეურნეობის დირექციას იმის თაობაზე, რომ ოჯახებში ჰყავთ გაზრდილი გოჭები 10—20 კგ. წონით და საზოგადოებრივ მეურნეობასთან ხელშეკრულების დადების სურვილს გამოთქვამენ გოჭების კოოპერირების წესით გამოზარდოს თაობაზე. ე. ი. ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს თვითონ ჰყავს პირუტყვის მოზარდული, მაგრამ მიმართავს მეურნეობას, რომ კოოპერირების წესით გამოზარდოს იგი, რის საფუძველზეც სახელშეკრულებო ურთიერთობა მყარდება მოქალაქესა და მეურნეობას შორის. მაგრამ, მათ შორის გოჭების კოოპერირების წესით გამოზარდოს ხელშეკრულება გაფორმდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მეურნეობა დააკმაყოფილებს მოქალაქის განცხადებას, შეისყიდოს მისგან გოჭების მოზარდულს, აიყვანს საკუთარ შემოსავალში, რაც სათანადო აქტით გაფორმდება, ხოლო გოჭების პირვანდელი წონის ღირებულება კი მოქალაქეს ან მაშინვე მიეცემა, ან საბოლოო ანგარიშსწორების დროს.

აქ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება, მეურნეობამ რომ დააკმაყოფილოს მოქალაქის განცხადება, საჭიროა სასოფლო საბჭოს თანხმობა იმის თაობაზე, რომ მოქალაქის მიერ შესრულებულია ღორის ხორცის ჩაბარების სავალდებულო ნორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში მეურნეობა ვერ დააკმაყოფილებს მოქალაქის განცხადებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ხობის რაიონში გავრცელებული ამგვარი პრაქტიკა არ ეწინააღმდეგება პირუტყვისა და ფრინველის გამოზარდის ტიპობრივ ხელშეკრულებას. ამასთანავე, იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებსაც არა ჰყავთ გამოსაზრდელად გადასაცემი პირუტყვის ან ფრინველის კონტინგენტი, საშუალება ეძლევათ მოსახლეობასთან კოოპერირების ამგვარი ფორმით გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. ამიტომ, ამგვარი პრაქტიკა მისაღებია და სასურველია ფართოდ დაინერგოს ჩვენი რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც.

5. მეურნეობამ მოქალაქეს ოპტიმალური პირობები უნდა შეუქმნას იმისათვის, რომ მან ხელშეკრულებით დათქმული ვალდებულებანი დროულად და მაღალ დონეზე შეასრულოს.

ამისათვის ტიპობრივ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია მეურნეობის ძირითადი მოვალეობა მიყიდოს მოქალაქეს პირუტყვის ან ფრინველის გამოსაზრდელად საჭირო საკვები (4 კგ. 1 კგ. ხორცზე), ამასთან, თუ ეს საკვები საკუთარი წარმოებისაა — მარცვლეული სახელმწიფო შესყიდვის ფასებში, სხვა საკვები — გეგმიური თვითღირებულების მიხედვით, ხოლო ნაყიდი საკვები კი იმ ფასებში, რაც მეურნეობამ გადაიხადა მიზიდვის ხარჯების გათვალისწინებით.

ზოგჯერ ხელშეკრულებაში პირუტყვისა და ფრინველის გამოსაზრდელად საჭირო ძირითადი საკვების მიწოდების გარდა გათვალისწინებულია მოქალაქისათვის დამატებითი მიწის ნაკვეთების გამოყოფა პირუტყვისა და ფრინველის საკვები კულტურების მოსაყვანად საკარმიდამო მიწების, ან მეურნეობის მიერ დროებით გამოუყენებელი მიწების ხარჯზე.

როცა გამოზრდის ხელშეკრულებაში პირუტყვის ან ფრინველის საკვების მოსაყვანად მოსახლეობისათვის მიწის ნაკვეთების გადაცემის საკითხს ვეხებით, განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულობა გვმართებს იმასთან დაკავშირებით, რომ მიწა გარიგების საგნად (ობიექტად) არ ვაქციოთ.

ცნობილია, რომ მიწა მთლიანად არის ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან და არ შეიძლება იყოს ყიდვა-გაყიდვის, იჯარით გაცემისა და სხვა გარიგებათა ობიექტი.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ხობის რაიონში გავრცელებული ხელშეკრულების ზოგიერთი ვარიანტი საკვების მიწოდების ვალდებულებას საერთოდ არ ითვალისწინებს. ამიტომ აქ სახელშეკრულებო ვალდებულების ძირითად (და არა დამატებით) პირობად გვევლინება კოლმეურნეობის ვალდებულება გადასცეს მოქალაქეს მიწის ნაკვეთი; ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ამგვარი წესით გადაცემულ მიწის ნაკვეთზე მოწეული მოსავლის ნაწილი მოქალაქემ მეურნეობას უნდა ჩააბაროს და მხოლოდ ამ მოსავლის გარკვეული ნაწილი შეიძლება დაიტოვოს ხელშეკრულებით მასზე გაპიროვნებული პირუტყვის ან ფრინველის გამოსაზრდელად.

როგორც ვხედავთ, მეურნეობის ერთი ვალდებულება — მიაწოდოს მოქალაქეს პირუტყვისა და ფრინველის გამოსაზრდელად კომბინირებული საკვები გარკვეული რაოდენობითა და განსაზღვრული ღირებულებით მთიანადაა შეცვლილი სხვა ვალდებულებით — მიწის ნაკვეთის გადაცემით. ასეთ პირობებში მიწის ნაკვეთი გარიგების ობიექტად გვევლინება, რაც ყოველად დაუშვებელია.

6. ვინაიდან პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა, იგი უნდა დაიდოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, მკაცრად ნებაყოფლობითს საფუძველზე. ყოველად დაუშვებელია რაიმე ფორმით იძულება ან დაყოლიება რაიმე საკითხში. აღნიშნულის თაობაზე ხაზგასმით იქნა მითითებული საქართველოს კპ ცკ და მინისტრთა საბჭოს 1981 წლის აპრილის დადგენილებაში „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“, სადაც აღინიშნა, რომ სოფლად მცხოვრებ მოქალაქეებთან პირუტყვის და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულების დადებისას მკაცრად უნდა იქნეს დაცული ნაბაყოფლობის პრინციპი⁶.

ამასთან დაკავშირებით კი არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში გამოზრდის ხელშეკრულების დადების პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნებაყოფლობითობის პრინციპი ერთგვარად შელახულია. გარკვეული კატეგორიის პირებს ევალებათ ყოველგვარი გამოწვევის გარეშე შეიძინონ სასუქი კონტიგენტი ე. ი. გამოსაზრდელი პირუტყვის მოზარდული და ჩააბარონ წელიწადში 200 კგ. ხორცი.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 56-ე მუხლში კი ხაზგასმით არის მითითებული, რომ „გარიგება, დადებული მოტყუების,

⁶ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი (1981 წ. აპრილი) საქართველოს ცკ და საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება, 1981 წ. 15 აპრილი, „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ თბ., 1981 წ. გვ. 257

ძალადობის, მუქარის, ერთი მხარის წარმომადგენლის მეორე მხარესთან ბოროტ ზრახვითი შეთანხმების შედეგად, აგრეთვე ისეთი გარიგება, რომელიც იძულებული იყო დაედო მოქალაქეს მძიმე გარემოებათა დამთხვევის გამო მისთვის უადრესად არახელსაყრელი პირობებით, ბათილად იქნება ცნობილი დაზარალებულის სარჩელით ან სახელმწიფო, კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის სარჩელით“.

7. ტიპობრივი ხელშეკრულების ტექსტში, კერძოდ, მეხუთე პუნქტში მითითებულია, რომ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეებს ქონებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა ვიხელმძღვანელოთ სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგადი საფუძვლებით ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ტიპობრივი ხელშეკრულების შესაბამისად მოქალაქემ პირუტყვისა და ფრინველის თავისი ბრალით დაღუპვის შემთხვევაში მეურნეობას უნდა აუნაზღაუროს თავდაპირველი ცოცხალი წონის ღირებულება სახელმწიფო შესყიდვის ფასების მიხედვით.

ტიპობრივი ხელშეკრულებისაგან განსხვავებით საქართველოს სსრ ზოგირით რაიონში მოქმედი ხელშეკრულებით კოოპერაციის წევრმა, დაუდევრობით გოჭების დაცემის შემთხვევაში საკუთარი საშუალებებით უნდა შეიძინოს და კვლავ სუქებაზე დააყენოს იგივე ნორმით ღორი, წინააღმდეგ შემთხვევაში ღირებულება ანაზღაუროს საბაზრო ფასებში. ამრიგად, დაცემული პირუტყვის თავდაპირველი წონის ანაზღაურების ნაცვლად ითვალისწინებენ გოჭების იგივე ნორმით (წონით) ანაზღაურებას, ხოლო სახელმწიფო შესყიდვის ფასების ნაცვლად კი მოქალაქეს დაცემული პირუტყვის საბაზრო ფასს ახდებიან.

საკოლმეურნეო და სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა კოლმეურნეობისათვის პირუტყვის დაღუპვით მიყენებული ზარალის ოდენობას განსაზღვრავენ საბაზრო, სადაზღვევო გეგმიურა ფასებით ან თვითნებურად. ამგვარი წესებით ზარალის განსაზღვრა კი კანონსაწინააღმდეგოა⁷.

8. ტიპობრივი ხელშეკრულების მე-7 პუნქტში ჩაწერილია, რომ ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი დავები გადაწყდება დადგენილი წესით.

მაგრამ, ხელშეკრულების მხარეებისათვის ხშირად სრულიად გაურკვეველია ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი დავების გადაწყვეტა დადგენილი წესის მიხედვით რას ითვალისწინებს და როგორ ხდება.

ვინაიდან პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა და აღნიშნულის შესრულებისას წამოჭრილი დავები სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოიშობიან, და, ამავე დროს, ამ დავაში ერთი მხარე ყოველთვის არის მოქალაქე, ამიტომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 16-ე მუხლის შესაბამისად პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის

⁷ Сторожев Н. В. Комментарий к Примерному уставу колхоза, разд. IV. п., 13, М., 1972 г., с. 83.

ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი დავები სასამართლოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებულია.

ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში გავრცელებული ხელშეკრულებით, მხარეთა მიერ ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი განიხილება: კოლმეურნეობის გამგეობის, მეურნეობის დირექციის წარდგინებით პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მიერ შეთანხმების შეუსრულებლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი გადაწყდება კომისიური წესით.

ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც საკითხს კომისია იხილავს და მისი გადაწყვეტილება საბოლოოა. ჯერ ერთი, გაურკვეველია რა კომისიაა ეს და ვინ შედის ამ კომისიაში?

მეორეც, სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლება არც ერთ კომისიას, გარდა ზემდგომი სასამართლო ინსტანციისა არ აქვს.

მესამეც, სასამართლო გადაწყვეტილება საბოლოოა სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე და იგი უნდა აღსრულდეს იძულებითი წესით, თუ ნებაყოფლობით არ სრულდება.

ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მოქმედი ხელშეკრულება კი მოქალაქეებს უკმალოვს მიმართონ სასამართლო ორგანოებს დარღვეული უფლების აღსადგენად, რადგან ამ უკანასკნელის უფლებას აღნიშნული ხელშეკრულება ანიჭებს მხოლოდ კოლმეურნეობის გამგეობასა და მეურნეობის დირექციას, მაშინ როცა პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შეიძლება დაირღვეს როგორც მოქალაქის, ისე კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის მხრიდანაც. ე. ი. მოქალაქეს უფლება არა აქვს დააყენოს საკითხი მეურნეობის დირექციის ან კოლმეურნეობის გამგეობის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. ფაქტურად ხელშეკრულების ზემოთ აღნიშნული ნაწილიდან გამომდინარე მეურნეობის დირექცია, კოლმეურნეობის გამგეობა თავისუფლდება გამოზრდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობისაგან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით მხარეთა მიერ შეთანხმების შეუსრულებლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება კომისიური წესით. მაგრამ, თუ სასამართლო განიხილავს ხელშეკრულების დარღვევის ფაქტს (რაც ამ რაიონებში მოქმედ ხელშეკრულებებშია აღნიშნული) და გამოიტანს გადაწყვეტილებას, მაშინ რაღა საჭიროა კომისიური წესით სადავო საკითხების განხილვა? სასამართლოს ხომ სადავო საკითხების გადასაჭრელად გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება? ყოვლად დაუშვებელია აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა. არავითარ კომისიას, გარდა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოსი, ამის უფლება არ აქვს.

ამრიგად, პირად დამხმარე მეურნეობებში კოოპერირების წესით პირუტყვისა და ფრინველის გამოზრდის პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ მთელ რიგ რაიონებში მოქმედი ხელშეკრულებები ეწინააღმდეგება არა მარტო ტიპობრივ ხელშეკრულებებს, არამედ მოქმედ კანონმდებლობასაც.

მოსახლეობასთან კოოპერირება უნდა წარიმართოს სოციალისტური კანონიერების მოთხოვნათა სრული შესაბამისობით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი მატერიალური და მორალური პირობების შექმ-

ნას, რომლებიც აამაღლებს მოსახლეობის დაინტერესებას პირუტყვისა და ფრინველის გამომზრდასთან დაკავშირებით.

მ. ი. ცისკაძე

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ЗАКЛЮЧЕНИЯ ДОГОВОРА НА ВЫРАЩИВАНИЕ СКОТА И ПТИЦЫ

Резюме

В статье рассмотрены значение и роль договора на выращивание в личных подсобных хозяйствах граждан скота и птицы, принадлежащих колхозам, совхозам и другим сельскохозяйственным предприятиям, в удовлетворении потребностей населения нашей страны в мясных и молочных продуктах.

В статье на основе анализа распространенной в некоторых районах Грузии практики даны особенности заключения договора сельскохозяйственных предприятий с населением на выращивание скота и птицы. Отмечено, что в целом ряде районов действующие договоры противоречат не только типовым договорам на выращивание скота и птицы, но и действующему законодательству; с целью наиболее полного соблюдения требований социалистической законности о кооперации даны соответствующие рекомендации.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლის განყოფილებამ



რამაზ ხარინა

საბჭოთა სახელმწიფოს სუვერენიტეტი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის საფუძველი

თანამედროვე ეპოქაში კაცობრიობის განვითარების საერთო ტენდენციები და მსოფლიო ურთიერთკავშირთა სისტემა მზარდ ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფოთა და მათი სამართლებრივი სისტემების შინაგანი განვითარების პროცესებზე. არა მხოლოდ სხვადასხვა, არამედ საპირისპირო სოციალური და პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოები ჩართულნი აღმოჩნდნენ საერთაშორისო ურთიერთობათა ორბიტაში, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იდეოლოგიურ და კულტურულ სფეროებს.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობანი ითვალისწინებენ სუვერენულ სახელმწიფოთა მშვიდობიან ურთიერთობას, სადაც თითოეული სახელმწიფოს სუვერენიტეტი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტს. ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა „ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო ცალკეულ სახელმწიფოებში, არამედ სახელმწიფოთა გარკვეულ სისტემაშიც“¹. თანასწორუფლებიანობა და სახელმწიფო სუვერენიტეტი დღევანდელ საერთაშორისო ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. სახელმწიფო სუვერენიტეტი წარმოადგენს არა მარტო სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის წინაპირობას, არამედ საერთაშორისო სამართალსუბიექტობის საფუძველსაც. სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობით ვლინდება მისი სახელმწიფო სუვერენიტეტი; აქედან გამომდინარე, საბჭოთა სახელმწიფო ქმნის საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის შესაბამის პირობებს, ახდენს თავისი სამართალშემოქმედებითი მონოპოლიის განხორციელებას საკანონმდებლო საქმიანობის გატარების გზით.

უკანასკნელ წლებში, საბჭოთა კავშირში საგრძნობი მუშაობა ჩატარდა კანონმდებლობის მოსაწესრიგებლად ჩვენი საზოგადოების განვითარების დინამიკასთან შესაბამისობაში მოყვანისათვის. კერძოდ, სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში ასახვა ჰპოვა სახელმწიფოთა ურთიერთობების მზარდმა ინტერნაციონალიზაციამ, ინტეგრაციული პროცესების განვითარებამ. მიღებული იქნა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები „კანონი სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების შესრულების, დენონსაციის შესახებ“ (1978 წ.), „კანონი სსრ კავშირში უცხოელ მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (1981 წ.). სსრ კავშირის უმაღლესი

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 35, თბ., 1953, გვ. 283.

² სტატიის პრობლემატიკა ძირითადად სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხებით შემოიფარგლება. სახალხო და ეროვნული სუვერენიტეტის, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტების თანაფარდობის საკითხების სპეციალური განხილვა გადის მოცემული სტატიის ამოცანის ფარგლებიდან.

საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სსრ კავშირის ეკონომიკური ზონის შე-
 სახებ (1984 წ.), რიგი სხვა საკანონმდებლო აქტები. ეროვნული კანონმდებ-
 ლობის შექმნისას საბჭოთა სახელმწიფო ისწრაფვის უზრუნველყოს სახელ-
 მწიფო სუვერენიტეტზე დაფუძნებული ეროვნული და საერთაშორისო ინ-
 ტერესების შერწყმა. ჩვენი აზრით, ყოველივე ეს აუცილებლად მოითხოვს
 სახელმწიფო სუვერენიტეტის საკითხების დაწვრილებით განხილვას.

საბჭოთა იურიდიულმა მეცნიერებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა
 სუვერენიტეტის მარქსისტულ-ლენინური კონცეფციის უმნიშვნელოვანესი
 ასპექტების კვლევაში.

სუვერენიტეტის სხვადასხვა ასპექტები შესწავლილია ი. პ. ტრაინინს,
 მ. ს. სტროგოვიჩის, ბ. მ. ბაბის, ვ. ა. ვასილენკოს, ა. ი. დენისოვის, დ. ლ.
 ზლატოპოლსკის, დ. ა. ქერიმოვის, დ. ბ. ლევისის, გ. ბ. სტარუშენკოს, ი. ა.
 სუდნიცინის, ი. ა. ტიხომიროვის, გ. ი. ტუნჯინის, ნ. პ. ფარბეროვის და
 სხვათა ნაშრომებში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. ა. დოროგინის, ი. დ. ლევისის, ნ. ა.
 უშაკოვის, ბ. ლ. მანელისის³ მონოგრაფიული გამოკვლევები, რომლებმაც
 მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საბჭოთა სახელმწიფოს სუვერენიტეტის
 თეორიის დამუშავებაში. საკითხს სუვერენიტეტის შესახებ არა მარტო თეო-
 რიული, არამედ ღრმა და უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია. სა-
 ხელმწიფო სუვერენიტეტის პრობლემის განხილვა ჩვენთვის იმიტომაც არის
 განსაკუთრებით საინტერესო, რომ იგი წარმოადგენს სახელმწიფო და საერ-
 თაშორისო სამართლის ძირეულ პრობლემას. იგი ერთგვარად „ნეიტრალურ“,
 ზონაში იმყოფება, ორი დარგის — სახელმწიფო და საერთაშორისო სამარ-
 თალს შორის.

სუვერენიტეტი მუდმივ კატეგორიას არ წარმოადგენს, ვინაიდან თვით
 სახელმწიფო ისტორიული საზოგადოებრივი მოვლენაა. სუვერენიტეტის წარ-
 მოშობა და განვითარება განუყოფლად დაკავშირებული სახელმწიფოს, რო-
 გორც ვაბატონებული კლასის, პოლიტიკური ხელისუფლების ყველაზე უფ-
 რო ყოვლის მომცველი ორგანიზაციის ბუნებასა და განვითარებასთან, რო-
 მელიც მოქმედებს გარკვეულ ტერიტორიულ ფარგლებში და სხვა მსგავს
 ორგანიზაციებთან ურთიერთობაში იმყოფება. ამასთან დაკავშირებით, გან-
 საკუთრებით მნიშვნელოვანია სუვერენიტეტის კვლევაში გამოვიყენოთ სწო-
 რი მეთოდოლოგიური მიდგომა. სამართლებრივი და სხვა საზოგადოებრივი
 მოვლენების შესწავლის ერთადერთი სწორი მეთოდია დიალექტიკური და
 ისტორიული მატერიალიზმის მეთოდი. სწორედ ამიტომ საჭიროა გვაგვეთოთ
 მოკლე ექსკურსი საკითხის ისტორიაში, რათა უკეთ გავერკვეთ მასში თა-
 თანამედროვე ეტაპზე.

ისტორიულად სუვერენიტეტის პრინციპი პირველად წამოყენებული
 იქნა ფეოდალურ-აბსოლუტური სახელმწიფოს პირობებში და, უეჭველია,
 მას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა მსხვილი ცენტრალიზებული სახელ-
 მწიფოების ჩამოყალიბებისა და ფეოდალური დაქუცმაცებულობის პირობებ-

³ იხ.: Дорогин В. А., Суверенитет в советском государственном праве. М., 1948;
 Левин И. Д. Суверенитет. М., 1948; Ушаков Н. А., Суверенитет в современном ме-
 ждународном праве, М., 1963; Манелис Б. Л. Проблема суверенитета и ее значение
 в современных условиях, Ташкент, 1964.

ში. სუვერენიტეტის დოქტრინამ შედარებით სრული დამუშავება ჰპოვა XVI საუკუნეში ფრანგ მეცნიერ ჟან ბოდენთან, რომელიც წარმოადგენს ამ თეორიის აღიარებულ ფუძემდებელს. ჟან ბოდენის მიერ დამუშავებული სუვერენიტეტის დოქტრინა მიმართული იყო ფეოდალური დაქუცმაცებულობის წინააღმდეგ და ემხრობოდა ცენტრალიზებულ სამეფო აბსოლუტიზმს. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ XVI—XVII საუკუნეებში დაედო საფუძველი სუვერენიტეტის დოქტრინას, რომლის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენდა: 1. სუვერენიტეტი, როგორც სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტი; 2. სუვერენიტეტის შეუზღუდაობის, განუყოფელობის, განუსხვისებლობის და მუდმივობის აღიარება.

სახელმწიფო სუვერენიტეტის, როგორც სახელმწიფოს სრულხელისუფლებიანობის და მისი სამართალშემოქმედების პრინციპის აღიარება ესაჭიროებოდა ბურჟუაზიას სახელმწიფო ხელისუფლების მოსაპოვებლად. ეხლა კი ბურჟუაზია უარს ამბობს იმ პრინციპებზე, რომლებზედაც დაყრდნობით მან ხელისუფლება მოიპოვა.

ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა და XIX საუკუნის ლიბერალურმა ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ სუვერენიტეტის პრინციპი გაამდიდრა ისეთი ახალი შინაარსით, როგორიცაა სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, ჩაურევლობის პრინციპი და ა. შ. მაგრამ, სუვერენიტეტის ეს პრინციპი დააუადებული იყო ბურჟუაზიული დემოკრატიის შეზღუდულობით, ომის უფლების კონცეფციით (აგრესიული ომის ჩათვლით), უფლებისა, რომელიც თითქოსდა გამომდინარეობდა სუვერენიტეტის პრინციპიდან⁴. XIX საუკუნის ბოლოს წარმოიშვა კონფერენციები, რომლებიც უარყოფდნენ სუვერენიტეტს როგორც სახელმწიფოს აუცილებელ ატრიბუტს. ამის მიზეზს წარმოადგენდა კაპიტალიზმის ახალ სტადიაზე — იმპერიალიზმზე გადასვლა⁵. სუვერენიტეტის დოქტრინას თანდათან გამოაცალეს მისი დემოკრატიული, პროგრესული არსი. ყოველივე ამან საფუძველი მოამზადა იმპერიალიზმის ეპოქაში სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპის სრულიად უარსაყოფად. ეპქის ქვეშ იქნა დაყენებული სუვერენიტეტის დოქტრინის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა სუვერენიტეტის აუცილებლობა სახელმწიფოს ატრიბუტის სახით, მისი შეუზღუდაობა და ა. შ. უკვე XX საუკუნის დასაწყისში ზოგიერთ ბურჟუაზიულ მეცნიერთან ვხვდებით სახელმწიფო სუვერენიტეტის მნიშვნელობის დაკნინების აშკარად გამოხატულ ტენდენციას, მის ფორმალურ მოვლენად წარმოდგენას, რომელსაც მყარად „იურიდიული“ შინაარსი აქვს და მამასაღამე იგი არ არსებობს⁶.

სუვერენიტეტის ბურჟუაზიულ კრიტიკოსთა მთავარ თეზისს წარმოადგენს იმის მტკიცება, რომ ამ პრინციპს თითქოსდა ანარქია და არევდარევა შეაქვს საერთაშორისო ცხოვრებაში და ხელს უშლის სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა და თანამშრომლობის დამყარებას. ასე მაგალითად, ამერიკელი პროფესორი კ. ლონდონი პირდაპირ აცხადებს, რომ „სუვე-

⁴ Левин И. Д. Суверенитет, с. 374.

⁵ უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: Манелис Б. Л. Указ. соч., с. 37—46.

⁶ უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: Еллинек Г. Общее учение о государстве. СПб, 1903, с. 313.

რენიტეტი მთავარი წინაღობაა პროდუქტიული საერთაშორისო თანამშრომლობის გზაზე⁷.

სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული არგუმენტები მნიშვნელოვანწილად დაიყვანება მოსაზრებებზე, რომლებიც მიმართულია „აბსოლუტური სუვერენიტეტის წინააღმდეგ“. ამ ყალბი საბაბით ბურჟუაზიული მოაზროვნენი თავს ესხმიან სახელმწიფო სუვერენიტეტის ცნებას, რომელსაც უაღრესად მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ფასეულობა გააჩნია და სრულიად არ ეწინააღმდეგება ნორმალურ საერთაშორისო ურთიერთობას. რა თქმა უნდა, „აბსოლუტური სუვერენიტეტი“ არც არის და არც უნდა იყოს. სუვერენიტეტის საზღვრები ყოველთვის არსებობდნენ და ისინი განისაზღვრებოდნენ ეკონომიკური პირობებით, სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებით და ისტორიული ეპოქის განვითარების მორალურ-პოლიტიკური მოთხოვნებით. ეს საზღვრები იცვლებოდა ყველა ამ ფაქტორთა ცვლილებასთან ერთად⁸.

სუვერენიტეტის უარყოფის „დასასაბუთებლად“ ბურჟუაზიული იდეოლოგები აცხადებდნენ, რომ თითქოსდა სუვერენიტეტი აფერხებს საწარმოო ძალთა განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, რომ იგი არ შეესაბამება „XX საუკუნის სულს“, ურთიერთკავშირების გაძლიერებას, რომ ომი ნაციონალური სახელმწიფოს თვითბუნებისათვის არის დამახასიათებელი, რომ საერთაშორისო წესრიგი მანამდე არ იქნება უზრუნველყოფილი, სანამ „ნაციონალური სახელმწიფო არ შეიცვლება მსოფლიო სახელმწიფოთი მსოფლიო სასამართლო საერთაშორისო კონფლიქტების მოსაწესრიგებლად.. მსოფლიო საკანონმდებლო ორგანოთი სამართლის დასამყარებლად...“⁹.

რა არის ყოველივე ამის ჭეშმარიტი მიზეზი? მთავარი არის უმსხვილესი მონოპოლიების მისწრაფება მაქსიმალური სარგებელი ნახონ ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციისაგან. ამის მიღწევა კი მათ შეუძლიათ მხოლოდ ახალგაზრდა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ფეხქვეშ გათევლით. ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპანსია ყოველთვის შენიღბულია ფრაზებით „ურთიერთდამოკიდებულებისა“ და „ურთიერთხელსაყრელი“ თანამშრომლობის შესახებ. ბურჟუაზიულ ავტორებს არ ესმით, ან არ სურთ გაიგონ, შეფარდებითისა და აბსოლუტურის დიალექტიკა; ისინი ვერ ხედავენ კანონზომიერ კავშირს სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებას შორის. თანაბრად საშიშია, როგორც სუვერენიტეტის, ისე ურთიერთდამოკიდებულების აბსოლუტიზაცია, მათი ურთიერთზემოქმედების გაუგებლობა¹⁰.

საბოლოო ანგარიშით ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ ვერ შესძლო სახელმწიფო სუვერენიტეტის სწორ გაგებაზე მისვლა, რამეთუ მან ვერ შესძლო სახელმწიფოს ნამდვილი არსის გარკვევა. ყველა ბურჟუაზიული კონ-

⁷ K. London, The making of Foreign Policy. East and West. Philadelphia, 1965, p. 305.

⁸ Левин И. Д. Суверенитет, с. 7.

⁹ Etzioni A. European Unification and Perspectives on Sovereignty. «Deadalus», Summer, 1963, pp. 494—498.

¹⁰ Кузьмин Э. Л. Критика некоторых буржуазных воззрений на проблему суверенитета. — Вестник МГУ, серия ХП, Право, №4, 1966, с. 86.

ცეფციები გამოდის ფორმალურ-დოგმატური და აბსტრაქტული კონსტრუქციებიდან¹¹.

სუვერენიტეტის ბურჟუაზიულ კრიტიკას მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ უპირისპირებს სუვერენიტეტის ჭეშმარიტად ჰუმანურ, რეალისტურ, მეცნიერულად დასაბუთებულ კონცეფციას, როგორც ნაციონალური და საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპს¹².

სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა საერთაშორისო არენაზე მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს გასვლასთან ერთად, ორი სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის თანაარსებობის პირობებში. სუვერენიტეტი, რომელიც თანაბრად ახასიათებს სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების სახელმწიფოებს, სხვადასხვაგვარია თავის სოციალური საფუძვლისა და იმ მიზნის მიხედვით, რისთვისაც ის ხორციელდება¹³. სხვანაირად რომ ვთქვათ, სუვერენიტეტის არსის შემადგენელი ურთიერთობანი განისაზღვრება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური წყობით, სახელმწიფოს საზოგადოებრივი საფუძვლებით. მხოლოდ წარმოების წესში დავინახავთ „მთელი საზოგადოებრივი წყობილების და, მაშასადამე, სუვერენიტეტისა და დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმის, მოკლედ, ყოველი მოცემული სპეციფიკური სახელმწიფოებრივი ფორმის შინაგან საიდუმლოებას, მის ფარულ საფუძველს“¹⁴.

ამრიგად, სახელმწიფო სუვერენიტეტი არის ფორმა, რომელიც განსხვავებული შინაარსით იცემა საზოგადოებაში გაბატონებული სოციალურ-პოლიტიკური წყობის ხასიათიდან გამომდინარე.

სახელმწიფო სუვერენიტეტის საბჭოთა კონცეფცია, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში სსრკ-ს მონაწილეობის საფუძველი, თავის გამოხატულებას პოულობდა ჩვენს საერთაშორისო პოლიტიკაში პირველი დღეებდანვე (საბჭოების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობის მიერ მიღებული დეკრეტი ზავის შესახებ) საბჭოთა სახელმწიფოს უკანასკნელი საგარეო პოლიტიკური აქტების ჩათვლით. საბჭოთა სახელმწიფო სხვა სახელმწიფოებთან თავის ურთიერთობებს ყოველთვის აგებდა ურთიერთალიარების, თანასწორუფლებიანობისა და სუვერენიტეტის საწყისებზე, გამოდიოდა სუვერენული სახელმწიფოებრიობის, როგორც ადამიანთა საზოგადოების პროგრესული განვითარების ერთ-ერთი მთავარი წინამძღვრის განმტკიცებისათვის. საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოში ხორციელდება ახალი, უმაღლესი ტიპის სუვერენიტეტი, პირველად ისტორიაში ხორციელდება სახალხო, ნაციონალური და სახელმწიფო სუვერენიტეტის ერთიანობა, სსრკ სუვერე-

¹¹ სუვერენიტეტის ბურჟუაზიული კონცეფციების დაწვრილებითი შიშხილვა, იხ.: Л е в и н И. Д. Суверенитет, с. 3—43, 221—266; А р ж а н о в-М. А. Указ. соч., с. 55—56.

¹² А г а б е к о в Г. Б. Суверенитет и Советское союзное государство. — В кн.: Вопросы международного права, ИМО, учен. зап. Вып. 16, М., 1963, с. 5.

¹³ К а р л М а р к с О государстве и праве, М., 1968, с. 180.

¹⁴ ე. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, 1959, გვ. 411.



ნიტეტისა და მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის ორგანული შეთანაწყობა და ურთიერთზემოქმედება¹⁵.

